დალილა გოგია

მამა

დედის თვალებით, დედის ფიქრებით

გაზომილია ჩემი ცხოვრება.

ვახტანგ ჯავახაძე

ირაკლი - (50 წლამდე) ცნობილი კინორეჟისორი.

ბარბარე - (45 წლამდე) ირაკლის პარტნიორი, ბლოგერი.

ანო - (45 წლამდე) ბარბარეს მეგობარი, უნივერსიტეტის ლექტორი.

ნინო - (50 წლამდე) კინოსტუდიის მენეჯერი, ირაკლის ბავშვობის მეგობარი.

ვაჟა - (50 წლამდე) რეჟისორი, პროდიუსერი, ირაკლის ბავშვობის მეგობარი.

ჯორჯ უაითი - ამერიკელი ბლოგერი.

ნიკუშა - ირაკლის შვილი, ცხოვრობს პარიზში.

მარიკა - (50 წლამდე) ირაკლის ყოფილი ცოლი, ცხოვრობს ამერიკაში.

მოქმედება მიმდინარეობს საქართველოში, 2018-2021 წლებში.

პიესა სრულდება 2021 წლის 5 ივლისის თბილისის ცნობილი მოვლენების ფონზე.

კინოსტუდია. ისმის საბავშვო სიმღერა *„ერთად ვცხოვრობთ დიდ ფერმაში, ია, იაო...“ (1) ნინო ცეკვავს. შემოდის ვაჟა და ისიც ცეკვას იწყებს. სიმღერა მთავრდება.*

ვაჟა: რას უსმენ, ნორმალური ხარ შენ?

ნინო: ვაიმე, ვგიჟდები, როგორ მიყვარს, ბავშვები სულ ამაზე გაიზარდნენ.

ვაჟა: ჩემებიც... ეს უნდა იყოს საქართველოს ჰიმნი, ბაზარი არ არი, გადაიქცა ქვეყანა ერთ დიდ ფერმად.

ნინო: რა მაგარია! გამოვიყენოთ სადმე, რომელიმე სცენარში.

ვაჟა: ცხონებულმა ორუელმა ჩვენზე დაწერა რაც დაწერა.

ნინო: მზა ციტატები ექნებოდა, იმ ტვინგაყინულების გამოსვლებისთვის რომ მოესმინა, ფერმის ცხვრებს დაემსგავსნენ.

ვაჟა: ბაზარი არ არი, ვითომ ეროვნულ ფასეულობებს იცავენ. შეგვიძლია რამე აქტუალური ჩვენც მოვცხოთ, სცენარს დავწერ.

ნინო: ჯერ ადრეა, გაგაციმბირებენ, ვინ გაპატიებს, საყვარელო. უფრო სწორად, დაიწყე წერა, მაგრამ დადგმა ან გადაღება ადრეა.

ვაჟა: რატომ? დიდი პრეტენზიები გვაქვს, სტალინის დროს რატომ არ წერდნენ რაც ხდებოდაო, როცა სიკვდილს უყურებდნენ თვალებში და ახლა ჩვენ გვეშინია? დამოუკიდებელი კინოსტუდია გვაქვს, იმათ ფულს **(თითს ჭერში იშვერს)** ჩვენ არ ვხარჯავთ, შევიტანთ საერთაშორისო ფონდებში და ბაზარი არ არი. დამოუკიდებელი თეატრებიც გვაქვს და დადგამენ. **(შემოდის ირაკლი)**

ირაკლი: აბა, როგორ ხართ?

ვაჟა: მომავლის გეგმებს ვაწყობთ.

ირაკლი: ეჰ რა დრო დადგა! საქმეები გვახრჩობს. მაინც, სად მიდის რომანტიკა, ნინო-პიანინო? გვწეწავს ცხოვრება, გვწეწავს.

ნინო: შენ თუ რომანტიკაზე წუწუნებ, მე რა ვთქვა, ოჯახის უღელში შებმულმა თეთრმა ცხენმა?

ირაკლი: **(მიდის ნინოსთან, თავზე კოცნის)** დაგირეკა ბარბარემ?

ნინო: (პირჯვარს იწერს) კი. ერთი ამას გადავრჩებოდეთ... საწყალი გოგო...

ირაკლი: ეგ კი არ უთხრა! **(გაბრაზებით უყურებს ნინოს.)**

ვაჟა: მოვა? კონტრაქტზე ხელს მოაწერს? საბოლოოდ შეაბი?

ირაკლი: მოვა, კი. არ იყო მარტივი. ცოტა იტირა, ცოტა იწუწუნა, მაგრამ დამთანხმდა. რამდენი ხანია, ვამუშავებ.

ვაჟა: ოღონდ, არ უნდა დავაძალოთ. არ მინდა, ეგონოს, რომ ჩვენ ვსარგებლობთ მისი... მისი.... **(იბნევა, წითლდება.)**

ირაკლი: ფიზიკური ნაკლით.

ვაჟა: (ოხრავს) არადა, არ ეტყობა არაფერი, თუ არ იცი, ვერ შეატყობ, ისე აცვია.

ირაკლი: ვსარგებლობთ, რა თქმა უნდა...

ნინო: შეგვეძლო, მსახიობი აგვეყვანა და გრიმი დაგვედო...

ირაკლი: **(ნინოს, გაღიზიანებული)** დრო საკმარისად ქონდა მოსაფიქრებლად. თვითონ დაგვთანხმდა. და დაიმახსოვრე, მე მინდა, რომ ბარბარა იყოს.

ვაჟა: ბაზარი არ არი. ხელი მოგვიწეროს, რომ კონტრაქტებიც დავამთავროთ უკვე. მოსვლა არ იყო აუცილებელი, შეგეძლო, საბუთები სახლში მიგეტანა.

ირაკლი: ნინოსთან უნდა ლაპარაკი. მგონი, რაღაცაზე ჭედავს.

ნინო: კი, საყვარელო, დაახლოებით მითხრა, რაც უნდა.

ირაკლი: მე არ მანდობს თავის გრძნობებს. ფემინისტურ პონტში.

ვაჟა: ილაპარაკონ გოგოებმა. **(ნინოს)** მერე გვითხარი. **(ირაკლის)** უნდა დავეხმაროთ, პრობლემები არ უნდა შეექმნას.

ნინო: (ირაკლის) ფემინისტურ პონტში რას ნიშნავს? შენც გეკითხა.

ირაკლი: მინდოდა, მაგრამ დილიდან კომპიუტერთან ზის, თვალებს ითხრის. მაგისთვის ამდენი ჯდომა ისედაც არ შეიძლება. რას აიტეხა ის ბლოგი!

ნინო: შენ რა, ბარბარეს ბლოგს არ კითხულობ? ძალიან კარგად წერს, საყვარელო.

ირაკლი: ჰო, ქართველი ქალები, ბაგრატიონ-მუხრანელი, შერვაშიძე, ორბელიანი... ყველა მაგათზე წერს.

ნინო: ბევრმა წეროს და ბევრმა წაიკითხოს. ბარბარე კინოზეც ხომ წერს, ჯარმუშზე დაწერა, ფილმის ლიტერატურული ბექგრაუნდი გაარჩია, ლექსები თარგმნა...

ირაკლი: ეს ბექგრაუნდი რა კვერცხობაა. სანამ წილხვედრი ეპოგეური საქართველო, არაწილხვედრ ნაწილზე არ ვამბობ - ინგლისურს ისწავლიდა, მაგ ბექგრაუნდს რა ერქვა, ნინო-პიანინო?

ანო: კარგი ჰო, საფუძველი. და რატომ იგდებ ქალებს მასხრად?

ირაკლი: ყველა მაგათზე წერს მეთქი, რა მასხრად, ვის ევასება ქალები ჩემზე მეტად? **(ვაჟას)** შენ იცნობს ვინმეს ასეთს, ვეჟო?

ვაჟა: ბაზარი არ არი, შენ კი გაიხარე შენს პრუჟინიან კრაოტში!

ნინო: კრაოტი კი არა, ბარბარე ინგლისურადაც წერს. უცხოელები წაიკითხავენ. ისეთი მასალაა, ვერავინ ამოწურავს, სავსეა არქივები! კაცებს გაქვთ პროტესტი, თორემ ძალიან მოგვწონს ქალებს.

ირაკლი: მეტი ბედნიერი ქალი ქვეყანას, მსოფლიოს, სამყაროს! კი ბატონო, ბარბარემ წეროს, მე წაკითხვას ნუ დამავალებთ!

ნინო: პიესაც ხომ თარგმნა, ბარსელონაშიც იყვნენ ფესტივალზე. ეგ არ ითვლება?

ირაკლი: ითვლება, ითვლება, ნუ შემჭამეთ. საკვირველია პირდაპირ, სად ეტევა ამდენი ცოდნა ერთ ქალს. ნამდვილად წარმოსახვითი თავები აქვს. ვაიმე, ვაიმე, მიშველეთ! **(გულზე ხელს იკიდებს)** აი, ახლა გავაკეთე მე საუკუნის აღმოჩენა - ქართულ ზღაპრებში ცხრათავიან დევებს რომ ებრძვიან ნაცარქექიები...

ნინო: კოლექტიურ დევებს კოლექტიური ნაცარქექიები, საყვარელო.

ირაკლი: აბა რა, აბა რა! მომკლავს მე ეს განათლებული ქალობა! ის ცხრა თავი იყო წარმოსახვითი, ბევრი ცოდნა-მისტიკური ინფორმაცია იგულისხმებოდა, წააჭრა ერთი, ამოვიდა მეორე, იმიტომ რომ კოსმოსთან აქვს კავშირი, ცოდნა არ იკარგება ჩემო დაო. დახოცეს მისტიკური ცოდნის მატარებელი დევები და დარჩნენ ნაცარქექიები.

ვაჟა: ამას რა გააჩერებს ახლა! **(ირაკლის)** შენგან ფილოსოფოსი არ დადგება, ისევ კრაოტს მიაწექი. **(ნინოს)** ბარბარეს მოვუსმინოთ. მაქსიმალური კომფორტი უნდა შევუქმნათ. აბა, შენ იცი!

ირაკლი: ნინო, ჩვენზე მეტად უნდა იყოჩაღო.

ვაჟა: **(ირაკლის)** ხედავ? შენც გეშინია, იკა! ასე მარტივად გამოვა ვითომ ეგ ამბავი? ან შეძლებს კი თამაშს?

ირაკლი: კი, ჩემო ძმაო. დიდი ხანია ვაკვირდები. ნიჭიერია. ზოგჯერ ისეთ წიაღსვლებში წავა, რომ გგონია, სადღაც აქვს წაკითხული, მაგრამ არა, სულ თავისი ნააზრევია. რამდენჯერ გამიგია, მისი სიტყვებით რომ ლაპარაკობენ სხვები.

ვაჟა: ეგ არ შეეშლებათ, ჭკვიანური გამომეტყველებით იმეორებენ სხვის აზრებს... მაგრამ მსახიობური ნიჭი, ხელოვნება?

ირაკლი: რად მინდა მსახიობი, ვეჟო, როცა ასეთი საბადო მყავს? მისი ემოციების მართვა ვისწავლე. არაა აუცილებელი, ითამაშოს, წამოუვა ნამდვილი განცდები, უხერხულობა, შიში, რაც როლს სჭირდება და ეგაა. მე გადავიღებ ისე, როგორც ვხედავ. ეგ როლი მისთვის დავწერე, ზუსტად მოვარგე.

ვაჟა: დიდი პროექტია, ძლივს დავითრიეთ, რთული გრაფიკი გვექნება, უცხო გარემო, ფრანგული არ ვიცით, ან ცუდად ვიცით. პროფესიონალიც ვერ გაუძლებს, მსახიობი გვჭირდება, მაღალი დონის. რამე არ გავიჩალიჩოთ...

ირაკლი: მე არ მაწყობს ახლა გაჩალიჩება. თანაც, პატარა როლია, ძმაო.

ვაჟა: ბაზარი არ არი, პატარაა, მაგრამ მნიშვნელოვანი. ხომ იცი, დაიწყება - თავისი ნაშა, თუნდაც ცოლი იყოს, ათამაშა და ასე და ისე. შეიძლება, სულ ჩაძირონ.

ირაკლი: აბა, რას ამბობ, ძმაო!

ვაჟა: თავი ნუ მოგაქვს უცოდველად! ნინოსთან რატომ მოდის? ხომ არ გადაიფიქრა?

ირაკლი: არა მგონია.

ნინო: საყვარელო, თუ გამოუვალი მდგომარეობა იქნება, შევცვლით...

ირაკლი: ნუ ახურებ! რაღა დროს შეცვლაა, ხვალ პარიზში მივფრინავ!

ვაჟა: პარიზში აუცილებლად გკითხავენ, შენი კინო პოლიტიკურია თუ პოლიტიკურ კინოს აკეთებო.

ირაკლი: ჩვენ, ქართველი ხელოვანები პოლიტიკაზე მაღლა ვდგავართ.

ნინო: არადა, ხელოვანებს აქვთ იმის ძალა და საშუალება, რომ ხალხს ხმა მიაწვდინონ, დროული გზავნილები გადასცენ, გამოაფხიზლონ, ცხოვრება შეცვალონ.

ირაკლი: **(პათეტიკურად)** ჩვენთან ასეა მიღებული: ხელოვანები ამბობენ, ჩვენ მუზებს ვნებდებით, პოლიტიკას კი არა, ანუ - ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევითო!

ვაჟა: ამაყად!

ნინო: და ახლა წარმოიდგინეთ, ილიასაც რომ ეთქვა, მე მწერალი ვარ, პოლიტიკაო!

ირაკლი: ეგრეა, კი. და მხოლოდ ილია? ბოჰემა? ტყუილად დავდგით?

ვაჟა: ეჰ რა დრო იყო... **(ხმამაღლა)** *მიგელ დე უნამუნო: „სადაც ხალხი პოლიტიკის მიმართ ინტერესს კარგავს, იქ უდავოდ დაცემის გზას დაადგება მეცნიერებაც, ხელოვნებაც და ხელოსნობაც კი!“*

ირაკლი: ორტეგა ი გასეტი: *„როცა სასოწარკვეთილი აღმოგვხდება, „რაც იქნება, იქნებაო,“ ჩვენ არჩევანის უარყოფის გზას ვირჩევთ.“*

ვაჟა: ანტონიო მაჩადო: *„მუდამ საშიშია ხელმძღვანელი პოსტები მივანდოთ საშუალო გონების ადამიანს, როგორი კეთილი ზრახვებიც უნდა ამოძრავებდეს, რადგან ასეთი ზრახვების მიუხედავად, (გვაპატიოს კანტმა) მორალიც საშუალო იქნება.“*

ნინო: ვაიმე, მეც მახსოვს: *„უნდა გვახსოვდეს, რომ სამშობლო იქმნება მარადიულად და შემოგვრჩება ისევ კულტურისა და დიდი გარჯის წყალობით.“ (2)*

ვაჟა: მაგარია, ნინო - პიანინო! **(შემოდის ბარბარე)**

ბარბარე: რეპეტიცია გაქვთ?

ნინო: საყვარელო, ბარბარე! ახალგაზრდობა გავიხსენეთ. **(კოცნის)**

ვაჟა: თქვენო უბარბარესობავ! უტკბილესო, ულამაზესო! **(ხელზე კოცნის)**

ირაკლი: **(ვაჟას)** ახლა კოცნის დრო არ არის, აპოგეური საქმეები უნდა ვაკეთოთ ჩვენ!

ნინო: ბარბარე, საყვარელო, სპეციალურად შენთვის მაქვს ნამცხვარი. ამათ არ ვაჭმევ.

ბარბარე: არა, ნინიკო, გმადლობ, ვცდილობ, ცოტა დავიკლო.

ნინო: კარგი რა, ბარბარუკა, ერთი ნაჭერი რას გიზამს. გარკვეული(!) გარკვეული ასაკის შემდეგ, ეს სხეული იშლება, თავისუფლდება, ფუშფუშდება, როგორ ვთქვა...

ირაკლი: იზმორება? **(იცინიან)**

ნინო: რომ წარმოიდგინო, იზმორება, კი, აბა შენ სხვა რა მოგივა თავში. უფ, ეს კაცები! და ჩვენ რას ვაკეთებთ ამ დროს?

ირაკლი: **(პათეტიკურად)** ნუთუ არ ვიზმორებით?

ნინო: **(სიცილით)** გვაცადეთ ქალებს, იკა! **(ბარბარეს)** ჩვენ თავში ვურტყამთ, ვეჩხუბებით, ყალიბში ვსვამთ, გვინდა, ბუნებრივი გზიდან გადაუხვიოს.

ირაკლი: ეგეც კინოა, დიდი ლიტერატურა, დიდი კინო.

ვაჟა: **(ქალებს)** აბა, თქვენ იცით! მაგ ქალურ ბაზარში ხელს აღარ შეგიშლით, ქართულ-ფრანგულ ურთიერთობებს თქვენს იმედად ვტოვებთ! **(ირაკლის)** წავედით!

ირაკლი: რას ქვია, ქალური ბაზარი, მეც ფემინისტი ვარ.

დღეს გულით მსურს, ძმებო თქვენთან ვილხინო,
აბა, კაპლო, მომე ხელადით ღვინო,
ჩვენებურად, ჩარხთან ორთაჭალაში,
თუნდ გამაგან დღესვე ხათაგალაში,
რასა ჭყრიხართ, ბიჭო, მუდამ ქალაქში,
ერთხელ ჩავსხდეთ, ჩრდილ-ქვეშ, მწვანე ბალახში...
კამპანიას გაუმარჯოს, დავლიოთ,
ამ ქეიფში უნდა სული დავლიოთ...

აბა, როგორია? ქალის დაწერილი მუხამბაზი ნინო აბაშიძე-ორბელიანისა. ხომ ხედავ, ზეპირად ვიცი ფემინისტურ პონტში. **(ყველა ტაშს უკრავს)**

ნინო: ოჰ, ოჰ, შენ რა ხარ! გვაცადეთ! **(ანიშნებს ირაკლის, რომ გავიდეს)**

(ირაკლი ბარბარესთან მიდის და კოცნის)

ბარბარე: ვაიმე, ნუ დამდორბლე, კაცო! **(სიცილით იშორებს)**

ირაკლი: ღმერთო, რას არ გაკადრებენ! **(ყველანი იცინიან, ვაჟა და ირაკლი გადიან)**

ნინო: ოხუნჯი. ჩვენი სკოლის ფილმების სტუდიაში, ყველაზე მაგარ ფილმებს ეგ იღებდა. ხომ იცი საბავშვო სტუდია, კინოსტუდიის ბაზაზე იყო გაკეთებული, გამოგვზარდეს წიწილებივით! კინოფესტივალებზე აჩვენებდნენ ამ საზიზღარი ბიჭის ფილმებს, ზოგჯერ თვითონაც დაყვებოდა ხან მოსკოვში, ხან რიგაში, ერთხელ პრაღაში იყო. მაშინ რა იყო იცი, პრაღა? ჩამოიტანა ფირფიტები, ნახატიანი მაისურები, ფერადი კევები, ცელოფნის პარკები, გოგო! მაშინ დეფიციტი იყო. ახლა ჩემ შვილებს რომ ვეუბნები, ჯინსი მაღაზიაში არ იყიდებოდა-მეთქი, ხოხავენ, იმდენს იცინიან! რას ვიზამთ, დეფიციტის ბავშვები ვართ. მერე ჩვენი მშობლები? „ბავშვს არ ვანებივრებ!“ როგორ იპრანჭებოდნენ! განებივრება კი რა იყო? ახალი ნივთის ყიდვა. და ახლა რომ იმ დროს მისტირიან, არ არის უცნაური?

ბარბარა: (იცინის) ძალიან. მეც მაგას ვამბობ.

ნინო: დღეს მაღაზიებში რომ დავდივარ და ყველაფერს სახლში ვეზიდები, მაგ დეფიციტის ბრალია. ერთხელ ბავშვებს ვუხსნიდი, საყიდლებზე მოსკოვში ან გადამყიდველებში დადიოდა ხალხი, რადგან მაღაზიებში არაფერი იშოვებოდა მეთქი. იმათ რა რეაქცია ჰქონდათ, იცი? ეგონათ, დისტოპიას ვწერდი. **(იცინიან)**

ბარბარა: მაგათ კი არა, ჩვენც აღარ გვჯერა.

ნინო: ასეა, კი, ჰოდა, მაგ პერიოდში იკამ თავის დას და მარიკას ესპანდრელები უყიდა. უყიდა კი არა, ჩამოუტანა! ეგ „ჩამოუტანა“ ცალკე კულტურული ძეგლია საბჭოთა კავშირიდან. **(ძალიან ხმამაღლა იცინიან)**

ბარბარა: მარიკაზე თავიდანვე ზრუნავდა?

ნინო: ჰო, საყვარელო, ერთ ეზოში გაიზარდნენ, ხომ იცი ირაკლის სილოლაკის სახლი? დაბადებიდან ერთად იყვნენ, ირაკლი წინ მიდიოდა, მარიკა უკან მიყვებოდა მორჩილად.

ბარბარა: რა უცნაურია.

ნინო: მერე გამოაცხადეს, აღმოვაჩინეთ, რომ ერთმანეთი გვიყვარსო. ჩურჩუტები! რა იყო მანდ აღმოსაჩენი. რა ინფანტილურები ვიყავით, ვის დააჯერებ, რომ ასეთი ისტორიები ხდებოდა! ესაა დღეს კინო და გადასაღები ამბავი!

ბარბარე: და რა ცუდად დასრულდა მაინც.

ნინო: **(ვითომ ვერ გაიგო)** კიდევ კარგი, ბიჭებმა ეს სტუდია გააკეთეს, არიან თავისი თავის ბატონები. მე კი მენეჯერიც ვარ და დამლაგებელიც. ღმერთო, ეს ფრანგული პროექტი მშვიდობით გავიაროთ, **(პირჯვარს იწერს სამჯერ, სამჯერ აკაკუნებს, სამჯერ გვერდით აფურთხებს)** ირაკლის შანსი აქვს, ნიკუშა ნახოს. ის ბიჭი მამას არ ცნობს! იკას გული რომ გაუსკდეს ნერვიულობით, მერე დაისვენებს ყველა. ჯვარი სწერია! (**სამჯერ აკაკუნებს)** ნიკუშა იყო ჩვენი პირველი ბავშვი, მაგაზე მეტი ჭკუა კი არ გვქონდა! რა კარგი იყო, ვიდრე წავიდოდა, ჩურჩუტელა.

ბარბარე: თუ წაიყვანდნენ? ამერიკაში არ წაიყვანეს?

ნინო: წავიდა, წაიყვანეს... ამიტომაც შევეჭიდეთ ამხელა ამბავს. ორი ოცნება აქვს ირაკლის, საყვარელო, ნიკუშას ნახვა და გოდარის გაცნობა. გოდარზე მგონი, გავედით. მაგ საზიზღარმა თვითონ მოძებნა, მიწერა, დაითანხმა.

ბარბარე: **(დაბნეული)** ის გოდარი? კი, მაგრამ...

ნინო: კი, თავად ის. ცოცხალია, კარგად გრძნობს თავს. **(იცინის)** ნიკუშას კვალსაც მიაგნო პარიზში, ჩვენი ძველი სტუდიელი გვეხმარება. იკას ეხმარება.

ბარბარე: ნიკუშა, ირაკლის შვილი? პარიზშია? ამერიკაში მეგონა...

ნინო: **(შემცბარი)** გეტყვის თვითონაც, იკა, ირაკლი. გეტყვის. არ იცი, რა უცნაური ბიჭია? ნიკუშა პარიზშია.. და ეხმარება ირინა, ჩვენი ძველი მეგობარი, ჩვენზე უმცროსია, იქ ცხოვრობს. სულ პატარა რომ იყო, იკამ რომ გადაიღო და მას მერე გიჟდება ირაკლიზე, **(ბარბარე იძაბება)** გათხოვილია, მის ქმარსაც ვიცნობთ. ბარბარე, მოდი, მითხარი, საყვარელო, რა გაწუხებს, ლევანთან მგონი პრობლემები გაქვს.

ბარბარე: **(ჩუმად, დაბნეულად)** ჰო... რაღა მაგას მიახტნენ, სხვა მსახიობი არ არსებობს? თან ეროტიული სცენაო... რასაც გიამბობ, არავინ არ უნდა გაიგოს.

ნინო: ირაკლის თავიდანვე რატომ არ უთხარი, რომ ლევანთან მუშაობა არ გინდოდა?

ბარბარე: რამეს მეკითხება? არც სცენარი წამიკითხავს, მხოლოდ ჩემი როლი ვიცი, ისიც დაახლოებით. ან რომელი მსახიობი მე ვარ.

ნინო: ნუ გეშინია, ბარბარე! უბარბარესობავ! ქალბატონო ბაბეტა ომში მიდის! **(იცინის)** როგორც ჯოზეფ კემპელი ამბობს, „შედი იმ საშიშ გამოქვაბულში, რადგან იქ დევს

განძი, რომელსაც ეძებ!“ მოკალი დრაკონი, რომელიც განძს იცავს, ჩვენ შენთან ვართ! იკა ამბობს, რომ როლი გამოგივა, ეგ საზიზღარი რისკზე არ წავიდოდა.

ბარბარე: არ ვიცი, ნინო, უკვე ძალიან ვნანობ...

ნინო: (ბარბარეს გვერდით ჯდება და ხელს ხელზე უჭერს) რა მოხდა იმ ნარცისთან? ადრე ხომ იმუშავეთ ერთად, ბარსელონაშიც ერთად იყავით, არა? ძალიან გაფასებდა.

ბარბარე: მაფასებდა... ბარსელონაში მე დასს გავყევი, როგორც პიესის მთარგმნელი. დრამატურგი კი ამერიკელია, მაგრამ იქ მოეწყო მისი პიესების ევროპული დადგმების ფესტივალი. პროექტის მენეჯერი ის ქალი იყო, სამინისტროდან.

ნინო: ვიცი, ეგ ქალიც, ეგ პროექტიც.

ბარბარე: ერთ ბინაში მოგვათავსეს მე, ლევანი, მახო, ბატონი გიორგი და აჩიკო. მე ჩემი საძინებელი მქონდა, ბინაში იყო მეორე საძინებელიც, ტახტით, რომელზეც, წესით ბატონ გიორგის და აჩიკოს უნდა დაეძინათ, მაგრამ რა თქმა უნდა, ვერ დაეტივნენ. ან ეს ორი კაცი ერთად როგორ დაიძინებდა?

ლევანს და მახოს კი, შესასვლელში, სტუდიოში ეძინათ. იმ სტუდიოში იყო სამზარეულოც, იდგა კიდევ ერთი მოკლე ტახტი, სადაც თეთრეულის და საბან-ბალიშის გარეშე მოუწია ძილი აჩიკოს. ან ეგ რა ძილი იყო.

ნინო: რას ამბობ, დაუჯერებელია.

ბარბარე: საქმე ჯერ იმაშია, რომ არავინ მკითხა, მსიამოვნებდა თუ არა ოთხ კაცთან ერთად ერთ ბინაში ცხოვრება მთელი კვირა.

ნინო: ეგეც მართალია. სხვა ისეთ ამბავს ატეხდა...

ბარბარე: ასატეხიც იყო... იმ ბინას არავინ ალაგებდა. სამინისტროს ქალმა თქვა მე რა ვქნაო. თვითონ თავის დაქალებთან ერთად იყო წამოსული და ცალკე იყვნენ.

ნინო: და ლევანი? რა მოხდა მაგ ნარცისთან?

ბარბარე: ხალხის ფავორიტი... **(ნინო ოხრავს)** მოკლედ...პრეზენტაციის დღეს, დილას გავიღვიძე, ყავის დასალევად გამოვედი იმ სტუდიოში და ლევანი ეგდო სულ შიშველი. აივანზე ისხდნენ აჩიკო და ბატონი ლევანი. ამ ორ კაცზე, ისე გავბრაზდი, ვერ წარმოიდგენ, როგორ ვერ მოიფიქრეს, რომ რამე გადაეფარებინათ. გავედი მათთან აივანზე და დამხვდნენ ფერწასულები - წუხელ გააფრინა ლევანმა და ძლივს ვაკავებდით, დარბოდა ტიტველიო. მხოლოდ ეს მითხრეს.

ნინო: არ მესმის...

ბარბარე: მე მთელი დღე გოტიკურ უბანში ვიხეტიალე, არავის დანახვა არ მინდოდა, საღამოს მივედი პრეზენტაციაზე, გავიცანი დრამატურგი. ჩვენებიც იქ იყვნენ. დამინახა ლევანმა და მოაჭრა ჩემთან, სულ ალეწილი იყო, და იცი რა მითხრა? წუხელ შენთან მინდოდა შემოსვლა და ამათ დამაკავეს ძალითო, ბრაზობდა.

ნინო: რაო? მაგიტომ დარბოდა ტიტველი? წუხელ გააფრინაო მაგას ნიშნავდა?

ბარბარე: ჰო. გაბრაზებული იყო მათზე. ბოლოს მკითხა, რომ შემოვსულიყავი, შენ წინააღმდეგი იქნებოდიო?

ნინო: **(აღშფოთებული)** იკა ვითომ არც არსებობს? და საერთოდაც... ღმერთო! მაგას ვერ დავიჯერებ.

ბარბარე: **(აღელვებული)** ახლა ნუ მეტყვი, რომ ზე-თეატრალური სცენა დადგა.

ნინო: **(დაბნეული)** არა... ვიცი, რომ თავში აქვს ავარდნილი... ფხიზელმა გკითხა? რაო, ტყუილად გამაჩერეს და ახლა უთხარი ამათ, ხელი აღარ შემიშალონო? და შენ არ ჩაარტყი?

ბარბარე: **(მშრალად)** დავიბენი, ვერ აღვიქვი, რას ამბობდა. როცა გავიაზრე... არ ვიცი... **(ლამის ტირის)** მგონი, ემოციებში მიჭირს, ვერ გამოვხატავ... მე მხოლოდ ვუთხარი, ახლა ამას ტვინში ნუ ჩაიდებ და ღამე ნუ გამომეცხადები, თორემ პოლიციაში დავრეკავ მეთქი.

ნინო: გქონდა იქაური ნომერი? შეძლებდი დარეკვას?

ბარბარე: ტელეფონი არა, ინტერნეტი ხომ მქონდა. საწოლი ოთახის კარს შიგნიდან ვადგამდი სკამს. მეშინოდა.

ნინო: (ხელებს აღაპყრობს) უნდა გეთხლიშა რამე.

ბარბარა: იქ, პრეზენტაციაზე? იმდენ ხალხში? გიჟად გამომაცხადებდნენ!

ნინო: ვერაფერს იტყოდნენ.

ბარბარე: ასე გგონია? მაგათ არ იცნობ. ამ ფაქტს სამი მოწმე ჰყავს, შემოქმედები, რომლებიც ძალადობის წინააღმდეგ წერენ, სიტყვით გამოდიან, მათ შორისაა ლევანიც, რა ენა აქვს, არ იცი? მე რომ ხმა ამოვიღო, იმ სამი კაციდან რომელი დამიცავს, რომელი დაადასტურებს, რომ სიმართლეს ვამბობ?

ნინო: არცერთი, საყვარელო! ყველა გადაგიდგება! სამინისტროს ქალს არ უთხარი?

ბარბარე: არა. მეტყოდა, იგონებო. და ახლა ხმა რომ ამოვიღო, დაიწყებენ - ალბათ შენ გამოიწვიე, თორემ ეგ ისეთი კარგი ბიჭია, ან აქამდე სად იყავი... არ არის მარტივი!

ნინო: არ არის მარტივი, საყვარელო. ეს რომ ირაკლიმ გაიგოს, დამარხავს მაგ საცოდავს. არ ვიცი, როგორ მოგაშორო ეგ ცხოველი! ადრე რომ გეთქვა...

ბარბარე: არ ვიცოდი, თუ მაგას ამტკიცებდნენ.

ნინო: ირაკლი უკვე მიფრინავს. იქნებ შევძლო დალაპარაკება... ისეთი ატაცებულია ამ ფილმით, გოდარით, ნიკუშაც უნდა ნახოს... თუ სერიოზული მიზეზი არ ვუთხარი, როგორ შევაცლევინო...

ირაკლის ბინა. ბარბარე ზის კომპიუტერთან. სცენის სიღრმეში ჩანს ახალგაზრდა კაცი (ჯორჯი) აქცენტით ლაპარაკობს ქართულს. ბარბარე ზის კომპიუტერთან. დროდადრო ორივე დგება, ისხამენ ყავას, იხედებიან ფანჯრიდან... ისმის მათი ხმოვანი შეტყობინებები.

George: იმედია, არ გამიბრაზდებით, პირადში რომ გწერთ, Dear ბარბარა. ძალიან მომეწონა იმ სახლის ფოტო. და რა საინტერესო ისტორიაც ქონია. - ყოფილი გუდოვიჩის ქუჩა. რა სასიამოვნოა იმის გაგებაც, რომ სახლს ქალის სახელით იცნობენ - მადამ ბოზანჯიანცის სახლი. თანაც ის პირველი ქალი ყოფილა თბილისში, რომელმა მანქანა პარიზიდან გამოიწერა თავისი მძღოლიანად. ეს დღესაც კი ვერ მოხერხდება ალბათ. მე ხომ პარიზში ვცხოვრობ. შემიძლია დღეს მძღოლიანი მანქანა გამოგიგზავნოთ პარიზიდან?

ბარბარე: სალამი, ჯორჯ. მიხარია, რომ მომწერეთ. რეალურად ეს იყო მისი ქმრის სახლი. მისი ქმარი კი იყო თამბაქოს ქარხნის მეპატრონე, მილიონერი. მან სახლი კი ცოლის სახელზე გააფორმა, რომ ქონება დაეცვა. სახლმა1915 წელს ქალაქის საუკეთესო სახლის წოდება მიიღო.

George: როგორც წერთ, მისმა ქმარმა თამბაქოს პირველი ქარხანა თბილისში, თამბაქოს ჯიხურები. მის ქარხანაში მუშაობდა სტალინიც და სტალინმა ქარხანაში გაფიცვა მოაწყო.

ბარბარე: კი, ასეა. გასაბჭოების მერე კი მეპატრონეებს მხოლოდ ორი ოთახი გამოუყვეს, ქონება ჩამოართვეს, იმ სახლში ბოლშევიკი შეასახლეს.

George: რა ტრაგიკული ბედია!

ბარბარე: მხოლოდ ასეთი ოჯახების კი არა, მთლიანად, ჩვენი ქვეყნის.

George: მთელი წელია, ვკითხულობ თქვენს ბლოგს და თქვენი ქვეყნის ტრაგიკული ბედის სრული სურათი დახატეთ. ასე მგონია, რომ დასავლეთს უნდა დაეცვა ასეთი ქვეყანა წითელი კაციჭამიებისგან.

ბარბარე: ალბათ ვერ აღიქვეს საფრთხე ბოლომდე. დღეს ისევ იბრძვის რუსეთი იგივე ჭაობში ჩვენს ჩასათრევად. სამწუხაროდ, აქ იმდენი დასაყრდენი იპოვა, სტალინის იმდენი მოყვარული, რომ არ გამიკვირდება, სტალინის ფრესკა თუ ქართული ეკლესიის კედლებზე გამოჩნდება.

George: ვიცი, რაღაც ინფორმაცია მეც მაქვს საქართველოზე.

ბარბარე: მართლა? რას ამბობენ საფრანგეთში? დიდი ხანია მინდოდა მეკითხა, ქართულად წერთ ხოლმე კომენტარებს, ონლაინ ლექსიკონს იყენებთ, არა? ხმოვან აპლიკაციას?

George: სტუდენტობის დროს ოქსფორდში მოვხვდი, გაცვლითი პროგრამით, არსებობს ასეთი The Oxford School of Global and Area Studies, University of Oxford. იქ ვნახე ქართული ენის კურსი. რადგან მე თავისუფალი კრედიტები მჭირდებოდა, ის კურსი ავირჩიე. მეგონა, მარტივი იქნებოდა. ☺

ბარბარე: 😊 გაგიჭირდათ?

George: ცოტა. მაგრამ იქ perfrct გარემო დამხვდა, perfect ლია მასწავლებელი. სტუდენტებმა ენა ისე ისწავლეს, რომ ქართულ ლიტერატურასაც კი თარგმნიან.

ბარბარე: რას ამბობთ, ქალბატონი ლიას სტუდენტი იყავით? WOW.

George: დიახ. იცნობთ?

ბარბარე: აქ ყველა ყველას იცნობს. ქართული ენის და საქართველოსთვის დიდი საქმე კეთდება. I wish ბევრი ასეთი კათედრა და პროგრამა არსებობდეს.

George: მართლაც ასეა. ქართული შემიყვარდა. იმის მერე სულ ვეძებ ინფორმაციებს საქართველოზე. თქვენი ბლოგი ძალიან მეხმარება, რადგან ინგლისურადაც თარგმნით.

ბარბარე: So nice to hear that. The best teacher is long hair though. 😊

George: That's right. სიმართლე რომ გითხრა, ჩემი EX ქართველია.

ბარბარე: მართლა?

George: დიახ. მაგრამ მგონი, ბრუნდება თავის ძველ შეყვარებულთან, თბილისში.

ბარბარე: I am so sorry.

George: არა უშავს. თქვენგან ბევრს ვიგებ საქართველოზე. იქნებ პარიზში შევხვდეთ.

ბარბარე: ან აქ, თბილისში 😊

George: სიამოვნებით 😊

(რეკავს მობილური)

ბარბარე: Sorry, უნდა დაგემშვიდობოთ😊

George: Talk to u later. ☺

ირაკლი: ბარბარა, გოგო, ჩემო ბაბეტა! რა ბედნიერი ვარ! პარიზი პარიზია, დიდზე დიდი თავისუფლება!

ბარბარე: ირაკლი, რა ბედნიერებაა!

ირაკლი: საოცრებაა, ბარბარა, მაგია, მისტიკა. რაღაცას გეტყვი, პირველი ხარ, ვისაც ვუყვები. გოდარს შევხვდი, წარმოუდგენლად აზროვნებს და ღმერთო, როგორი თანამედროვეა! სულ სხვაგანაა ტიპი, მომავალში იხედება. რა ბედნიერი ვარ, გოგო!

ბარბარე: გილოცავ, მაინც მიაღწიე. ყველაფერი ჰკითხე, რაც გინდოდა? ახალ ტალღას საიდან უნდა ველოდოთ?

ირაკლი: საიდან და... ხომ გახსოვს, სამოციან წლებში მისი სიტყვები *„მე უნდა გადავიღო არა პოლიტიკური კინო, არამედ ფილმი გადავიღო პოლიტიკურად”* ახლა თქვა, რომ პოლიტიკა ცალკე არ არსებობს, ყველაფერი არის ცხოვრება, ანუ პოლიტიკა არის ის კანონები და რეგულაციები, რომელსაც ქმნიან პოლიტიკოსები. ისინი განსაზღვრავენ ჩვენს ცხოვრებას. ამიტომ, უნდა გაძლიერდეს სამოქალაქო სექტორი იმისათვის, რომ მთავრობა გაკონტროლდეს და მორჩეს მაგათი პარპაში. ბავშვებმაც კი უნდა იცოდნენ, რომ ხელისუფლებას უნდა მოსთხოვონ ადამიანის უფლებების დაცვა და სამართლიანი სოციალური გარემოს შექმნა.

ბარბარე: რა მაგარია. კიდევ?

ირაკლი: მეცნიერულ მიღწევებს უნდა გაეცნო, ნანოტექნოლოგიებს, ხელოვნურ ინტელექტს, და რა ვიცი კიდევ... ტექნოლოგიური პროგრესია ჩვენი მომავალიო, ამაზე სცენარს თუ დაწერ, მე დაგეხმარები, რომ აქ გადაიღოო.

ბარბარე: რით მოაჯადოვე?

ირაკლი: აუ, გესმის, გოგო, რა ხდება? ტიპმა გადამრია. ყმუილი მინდა.

ბარბარე: უფლება გაქვს, იყმუვლო.

ირაკლი: ვიყმუვლებ, აბა რას ვიზამ, ჩემო გოგო, მიხარია, მაგას რომ ამბობ! ნეტარ არიან მორწმუნენი, ვისაც შენ ნორმალური ჰგონიხარ, მითქვამს მე. შენ ხარ ჩემი საუკეთესო ვერსია.

ბარბარე: ბედნიერი ვარ.

ირაკლი: მეც ბედნიერი ვარ. კიდევ ბევრ რამეს მოგიყვები.

ბარბარე: ახლა მითხარი.

ირაკლი: გენური ინჟინერია შეისწავლეო, ეგეთი ამბებიო, **(აღფრთოვანებული)** ჰოდა, სადღაც გამაგზავნა. თუ მართლა გაინტერესებს, აი, წადი, ახლავეო, მერე დრო როდის გექნებაო. დარეკა იმ ტიპებთან და წავედი.

ბარბარე: სად?

ირაკლი: მისმინე, შენს გარდა ამას არავის ვეტყვი. სიგიჟეა! ეს იყო საიდუმლო ექსპერიმენტული ლაბორატორია. არა, კვლევითი ცენტრი, თუ კლინიკა. მოხალისეებზე ტესტავენ, მუშაობენ ვირებივით.

ბარბარე: რამე კოსმოსურია?

ირაკლი: რა კოსმოსი. კოსმოსის კვლევა წინა საუკუნეა. მოლეკულური მედიცინა, მგონი. აუ, მხოლოდ შენ თუ დამიჯერებ, ბაბეტა. წავიდეთ ომში!

ბარბარე: ჩქარა მითხარი!

ირაკლი: აუ, გოგო, ტიპები იკვლევენ კაცობრიობას, სქესს, ხელოვნურ შობადობას.

ბარბარე: გენდერია?

ირაკლი: რა გენდერი! მეცნიერება, აღმოჩენა, რევოლუცია და გადატრიალება! ტიპებმა გამოიგონეს რაღაც მოდიფიცირებული ჰორმონი და ანტისხეულები, შეგიყვანენ და მუცელში წარმოიქმნება ბადე, საშვილოსნოს პონტში, სადაც თავსდება ბავშვი. ორგანიზმში ნანობოტებით ქმნიან გარემოს ისე, რომ ხელოვნური განაყოფიერება და ნაყოფის გაზრდა შესაძლებელია. ნანოტექნოლოგიების ეპოქა მოვიდა, ასაკობრივი ზღვარი აღარ არსებობს.

ბარბარე: **(დაბნეული)** ხელოვნური განაყოფიერებისთვის ქალს მთავარია, საშვილოსნო ჰქონდეს, ასაკობრივი ზღვარი ისედაც არ არსებობს.

ირაკლი: საშვილოსნოც კი საჭირო აღარაა. ბადე ცვლის საშვილოსნოს. Net – ბადე, არ იცი? ოცდამეერთე საუკუნის კოდური სიტყვაა, აი, ინტერნეტსაც ხომ ასე ქვია, network, ყველას მოიცავს, ინკლუზიურობა, არ იცი?

ბარბარე: კი, network, ქსელი.

ირაკლი: ჰოდა, ყველა იქნება ჩართული ქსელში. მომისმინე, ბარბარე! ასეთი ტიპები შეისწავლეო, დააკვირდიო. ყველა ინფორმაციაზე წვდომა გექნებაო. რა დისტოპია, რის Sifi! ბადით ბავშვები უკვე გააჩინეს. უბრალოდ, არ ამბობენ. როგორი სათქმელია, როცა მასტები ალპამირას აფეთქებენ. ყველაზე დედააფეთქებული დროა, ხვდები?

ბარბარე: (**დაეჭვებით)** და სად არიან ეგ ბავშვები? შენ ნახე?

ირაკლი: ფოტოები ვნახე. პარტნიორის დნმ საკმარისია ბავშვის ჩასახვისთვის.

ბარბარე: **(დაეჭვებით)** არა მგონია, დნმ ბავშვისთვის საკმარისი იყოს.

ირაკლი: **(ბრაზდება)** ზოგს ისიც არ სჯერა, რომ დედამიწა მრგვალია. მე ჭკუაზე არა ვარ, ტიპები მენდობიან, შენ კი რა ცინიკურად ლაპარაკობ? ვინ ხარ საერთოდ? მხოლოდ წარსული გაინტერესებს? მომავლის გეშინია?

ბარბარე: კაი ახლა, არ გაბრაზდე. ჩამოდი და ვილაპარაკოთ, ნორმალურად, ტელეფონით აღარ მინდა. მინდა თან გიყურო.

ირაკლი: სად მიყურო?

ბარბარე: სადაც გინდა.

ირაკლი: ყველგან მინდა. მენატრები, გოგო.

ბარბარე: მეც. როგორ მინდა, ჩაგეხუტო!

ირაკლი: ამ დღეებში ჩაგეხუტები! კიდევ, კარგი, რომ მყავხარ და გიყვარვარ. სხვამ არავინ იცის ეს, არ ვაჟამ, არც ნინომ, ჩემო გოგო!

პარიზის მეტრო. ფრანგულად აცხადებენ მატარებლის შემოსვლას, სადგურებს. ირაკლი დგას, ხელში რუკა და მობილური უჭირავს. თან მეტროს ათვალიერებს, რეკავს მობილური.

ნინო: იკა, როგორ ხარ? სად დაიკარგე, გირეკავ, გწერ.

ირაკლი: ნინო, ნინო, პიანინო! აქ ვარ, გოგო, სულ გავითიშე ეს დღეები.

ნინო: დაიღალე? ნახე გოდარი?

ირაკლი: აბა რა! ვნახე და დამშოკა. სრული ნირვანა იყო, ნინო! გასხივოსნება.

ნინო: ჟან პიერმა მითხრა, მარტო წავიდაო. რატომ არავინ გაიყოლე?

ირაკლი: მხოლოდ ჩვენ ვიჭუკჭუკეთ, არ მიყვარს მე მესამე ყური და თვალი.

ნინო: ოჰ, ოჰ, შენი ხასიათი მანდაც გამოავლინე? როგორი იყო უცებ მითხარი.

ირაკლი: ახლა მეტროში ვარ, რა უბედურებაა პარიზის მეტრო. როცა აქ პირველად მოვხვდი, დანაშაულის ჩადენის სურვილი გამიჩნდა. (**ნინო იცინის, ისმის ფრანგული შანსონი**)

ირაკლი: მუსიკოსების დანახვა მამშვიდებს. გული მითბება, ჩიტების ჟღურტულს მაგონებს, ედიტ პიაფს.

ნინო: სად მიდიხარ, ბავშვთან?

ირაკლი: ბავშვთან, ბავშვთან. ვირისთავი. მესამე დღეა, დავდივარ და გზას თითქოს კარგად უნდა ვაგნებდე, მაგრამ მაინც ვნერვიულობ. ეს ვიდეოც რა აბდაუბდად ჩამიწერა ირინამ.

ნინო: (**იცინის.**) ირინას ხედავ, ხვდები?

ირაკლი: შენ არ იცი, ცნობისმოყვარეობამ რომ killed the cat?

ნინო: ნეტა შენ რამეს არ გადაეყრებოდე. არ აიწეწო ცხოვრება ისევ. ვიცი, ვიცი, ჩემი საქმე არ არის. და შენ ის მითხარი, ინტერვიუ გაქვს? შეგვიძლია კადრები გავუშვათ?

ირაკლი: არა, არა. კადრები არა.

ნინო: ფოტოები?

ირაკლი: არა, არც ფოტოები. არ გადამაღებინა.

ნინო: საყვარელი! ძველ ფოტოებს დავადებთ. შენ ტექსტს დაწერ? გავუშვა ანონსი?

ირაკლი: პიანინო ნინო, აქ ცუდად იჭერს. და გოდარი იმ პირობით შემხვდა, რომ საიდუმლოდ დარჩებოდა. ასე რომ, არაფერი მაქვს. აბა, კარგად.

(თიშავს მობილურს, ისმის მატარებლის შემოსვლის ხმა)

ირაკლი: გამატარეთ ქალბატონო! **პარდონ მადამ!** ვერ ვისწავლე ეს აჟღურტულებული ფრანგული რა! ბედის ირონიაა, რომ ყველაზე დიდ პროექტში ფრანგებმა ჩამაბეს. მესწავლა, რემბოს მაინც წავიკითხავდი ორიგინალში, გოდარს ფრანგულად დაველაპარაკებოდი... იქნებ, დღეს მაინც ვნახო ნიკუშა, ეგ მართლა ვირისთავი. მგონი, ეს სადგურია. **სილვუპლე! კი ბატონო, გაიარეთ!** მოიცა, აქ რა წერია? თუ ძალიან დამჭირდა, ირინა მასწავლის. მგონი, ირინას არეული აქვს ქმართან ურთიერთობა... სულ შენ მიყვარდიო, ბავშვობიდანვეო... ვაიმე, ეგ გოგო... როგორ მიყურებს... მიყვარს სიყვარული, სიყვარული მიყვარს! მაგრამ ბარბარა? **პარდონ მადამ, პარდონ... მეღსი, მეღსი! რა ზრდილობიანი ხალხია**. აქ უნდა ჩამოვიდე? ბარბარა მენდო და ფილმშიც კი თამაშობს. ეგ ბუნებრიობა უხდება როლს, მაგრამ შეჭამენ, მგლების ხროვაში ჩავაგდე, ვერ მივატოვებ. ბარბარე არასოდეს მიღალატებს.

თუ ირინასთან შევტოპავ და არჩევანის წინაშე დავდგები, მერე გადავწყვეტ. ირინა აქაა, მე - თბილისში. მინდა ახლა მე არეულობა?

ეს მე რას მეკითხება, NO FRENCH, რომელი ფრანგი მე ვარ! არ მეტყობა, ყურუმსაღო?

აქ უნდა გადავჭრა. აი, ტბაც. აქ სხედან აქაური კაი ტიპები. საეჭვო ადგილია თითქოს, ნეტა თბილისის 90-იანების მერე რა შემაშინებს? ერთნაირად აცვიათ- ხალათებივით უზარმაზარი პერანგები, შავი ჩექმები, ფართხუნა შარვლები, თავზე ქუდები! ჰიპსტერები რა! კიდევ კარგი, გამოტკეცილი სტრეიჯები მაინც გადაყარეს.

აბა სად არის? სულ იქ ზის ხოლმე და ხატავსო, ან ბალახზე წევს, ან გიტარაზე უკრავს, ან კითხულობს, ან გოგოს ეზასავება, ან გოგოებს. რა ხალხშია ეს ბიჭი! დაჯდეს და ჭამოს თავისი მილიონები, ბავშვები გააჩინოს, რა პარიზი და ბოჰემა აუტყდა! **ველოსიპედით იარე იქით, შე ჩემა! ოე! კინაღამ გადამიარა!**

აქ რა ხდება? გაუშლიათ მოლბერტები, დაუფენიათ ტილოები, ხის ნაკეთობები, მეტალის ფიგურები, WOW, მაგარია რა! ნეტა ვინ ყიდულობს? ხალხს აინტერესებს ხელოვნება? აინტერესებს რა, მოდაშია? მაგრა შრომობენ! მაგრამ როდის? ყველა მზეზე კრუტუნებს, ზოგი სვამს, ზოგი ბოლდება, ნეტა, საფრანგეთში მარიხუანა დაშვებულია?

სად არის? მართლა ვირისთავი ბავშვი! ნეტა, მეგობრები თუ ყავს? ავად ხომ არ გახდა? არა, რა ავად! ახლა შიშები არ უნდა დამეწყოს. აი, აქედან ჩანს შესასვლელი. მოვა, აბა რას იზამს. დღეს თუ არა, ხვალ. ირინას ვკითხო? მაგრამ ირინამ რა იცის. ირინა, ირენ! დაირქვა ფრანგულად. **(სკამზე ჯდება)** დღესაც თუ ვერ ვიპოვი, არა უშავს, ხვალ მოვალ, თავს არ დავანებებ! ის ბავშვი აღარ ვარ, შვილი რომ წაართვეს.

ღმერთო, ეს რატომ მიყვირის? მე დამდევს? ჰო, გააკავეთ! აქეთ არ გამოუშვათ! ახლა წამოხტომა და გაქცევა ტეხავს. **(ისმის გაურკვეველი ყვირილი)**

ირაკლი: რა დალია, ან გაიჩხირა, აუ, ახლა ამის შარის თავი მაქვს? აქ პოლიცია არ ყავთ? Fuck? რა Fuck, Fuck You, შენი დედაც მოვტყან! **(ისევ ყვირილი)**

ირაკლი: ოე! რა ყველა გიჟი მე უნდა ამეკიდოს, რა უნდა, ამ ჩემისას, ხომ არ გონია, მაგას დავდევ? **(კაცის ყვირილი უფრო ძლიერდება)**

რაო? რა უაით, რა უაით, რა თეთრი, ვინაა ეს ჩემისა. აუ, კიდევ კარგი, ისინი აკავებენ. რომ დამბრიდოს? გავიქცე? რა სავა? თუ აქეთ წამოვიდა, დრო მაქვს, მოვტყდე. კი ტეხავს გაქცევა. რა Fuck, Fuck You მეთქი!რა სავა,? უაით - რას აიჩემა? რა სავა? hey, Sera, Sera, what will be, will be…. what will be, will be – **(ღიღინებს)** ღმერთო ჩემო, რა დროს ჰიჩკოკის გახსენება იყო!

და ის ბიჭები რა მასტები არიან! მეკაიფებიან? დღისით, მზისით, ყელი რომ გამომჭრან? ნიკუშა მენახა მაინც.

ხმა: მამიკო! **(ირაკლის სკამის უკან ჩნდება ნიკუშა. სახე არ უჩანს, ფართხუნა შარვალი და განიერი ჰუდი აცვია, სახეს ფართო ქუდი უფარავს.)**

ირაკლი: მამიკო? მამიკო! რა მამიკო?! **(ფითრდება)** ბარბარა, მიშველე! ახლა გულმა არ უნდა დამარტყას. რა მამიკო?! ხმას ვერ ამოვიღებ, ყმუილი ამომივა.

ნიკუშა: ის ტიპი მე მიყვირის, სამი დღეა, გხედავენ, რომ დადიხარ და მეძებ. მე გემალები, იციან, რომ მამაჩემი ხარ. ის ტიპი მე მეჩხუბებოდა, უკან ნუ უდგახარ, დაენახეო. აქ ასე მეძახიან - უაით.

ირაკლი: როგორი აქცენტი აქვს. როგორი ხმა. მის ხმას მაინც ვიცნობდი. მამიკო! ასე დაგიძახებ ხოლმეო, მამიკო! ახლა გულმა არ უნდა დამარტყას. ბარბარე... ნეტა აქ იყო.. ღმერთო, რას მეკაიფები?

ახლა გული დამარტყამს. მოვკვდები. არა, არ მოვკვდები, ბავშვს არ შეეშინდეს. ჩემი შვილი! რა უნდა იყოს შვილის დანახვაზე დიდი ნეტარება? სამყაროსთან უფრო დიდი შერწყმა რა უნდა იყოს? არ ვინანებ, გული თუ გამისკდა და მოვკვდი. ახლა ხმას ვერ ამოვიღებ, ხავილი ამომივა!

ნიკუშა: იცი, ის ტიპი რას გიყვიროდა? ვიცი, რომ უაითის მამა ხარ და Fuck White, ასე რომ გაწვალებს, გემალებაო. როგორ ხარო, გეკითხებოდა... წადი, გული არ გაგისკდეს, მიხედე შენს ცხოვრებას, მიაფურთხე მაგ ნაბიჭვარსო.

ირაკლი: ახლა გულმა არ უნდა დამარტყას. ბარბარე! მამიკო დამიძახა. ვირისთავი! პირი რომ გავაღო, გული ამომიცურდება პირიდან, მთვარესავით. ბარბარა, ხომ ამბობ, იყმუვლე, უფლება გაქვსო...ბარბარე! შენ ხარ ჩემი ადამიანი!

ნიკუშა: აქ აღარ მოხვიდე, მამიკო, მე თვითონ მოვალ, მე თვითონ გნახავ, ვიცი, სად მოგძებნო, ირაკლი. **(ნიკუშა გადის.)**

ირაკლი: იქნებ მომეჩვენა? ის ტიპიც დამშვიდდა. იქნებ, არც ყვიროდა? ოე, შენა! ყვიროდი? მე მიყვიროდი? მხედავ? იქნებ მომელანდა? ნიკუშა... წავიდა? ბარბარა... რატომ აქ არ ხარ, ჩემთან!

ბარბარე, შენ მაინც უნდა გამიგო. რა ვქნა, მარიკას ვერაფერი გავაგებინე. ამბობდა, ნიკუშას თუ არ ვუშველეთ, მამაჩემი ბავშვს ნამდვილად მოკლავსო. ჩემმა მშობლებმა ვერაფერი გააგებინეს ჩემს სიმამრს. ბნელი დრო იდგა და იმას უნდოდა, ავტომატით მერბინა, გამეჩხირა და კაცობა ასე დამემტკიცებინა, ავტორიტეტი ასე მომეპოვებინა. რა იცოდა, რომ ეგ ავტომატიანები მე უფრო მეტ პატივს მცემდნენ, ვიდრე ერთმანეთს. ჩემს სიმამრს დიდი ფული და ძალაუფლება უნდოდა, რომ ჩემს

დანახვაზე ყველას შიშისგან ეკანკალა. მერე გიგიშამ პარლამენტარობა შემომთავაზა, შენ ჭკვიანი მასტი ხარ, ამ უბედური ქვეყნისთვის ბევრს გააკეთებო (ვისი დაქცეული იყო ის ქვეყანა!) და თანაც, იქიდან კარგად დაგვიცავო, ჩვენო, კაი ბიჭები ვართ და ვიცით პატივისცემაო. მე უარი ვუთხარი, რა პარლამენტი და რა მაგათი კრიშა! ამაზე ჩემი სიმამრი ისე გადაირია, მარიკას გადაეკიდა, ეს პიდარასტი მოიშორეო.

ესაა ჩემი ერთადერთი იმედიო, ნიკუშაზე ამბობდა, მე გავზრდი ამას კაცადო, და ზრდიდნენ კიდეც ეგ და მისი სამეგობრო, ვითომ ტრადიციების დამცველი ახვრები. აყროლებულ ძეხვს და კონსერვს ჭამდნენ და მაგას ეძახდნენ ქეიფს. ნიკუშას გვერდით მოისვამდნენ და ღვინოს ასმევდნენ, თან თავის ოღრაშულ ისტორიებს ასმენინებდნენ! მე ისეთი უსუსური ვიყავი, ვიჯექი და ვტიროდი, მომიჯდებოდა მარიკა გვერდით და ისიც ტიროდა. ვაი ჩვენს პატრონს! ვინც არ ტიროდა ჩვენსავით, იმათ ამოასხათ „უფროსებთან ხმა არ ამოიღო!“ და კიდევ ასიათასმა ბოღმამ და დაიწყეს ხოცვა-ჟლეტა უმოწყალოდ. გადაჯეგეს ქვეყანა. როგორი არეული დროც იყო, ისეთი არეული თაობა გამოვდექით.

მარიკამ, შენ ხარ კაცი და მამაჩემთან კაცურად გაარჩიეო. რა მექნა, მომეკლა? დავაპირე კიდეც. ბიჭებს იარაღიც მოვატანინე, მაგრამ მარიკამ იპოვა და თავს ჩამოვიხრჩობო, დამემუქრა. მერე, ამერიკიდან ჩამოვიდა ჯეიკობ უმცროსი. ისიც მიხვდა, რომ ჩემი სიმამრი ბავშვს თავს არ დაანებებდა და ამიტომ შემოგვთავაზა ნიკუშას წაყვანა ამერიკაში...

პირველ ზაფხულს რომ ჩამოვიდა ნიკუშა, ეგონა, ამერიკაში შემოდგომაზე ჩვენც გავყვებოდით. იქ მამა დედას ნიშნავსო. იცოდე, სხვა ბავშვების ხმებში არ აგერიოს ჩემი ხმაო, მაფრთხილებდა. ისინი მამას რომ ყვირიან, დედას ეძახიან, მე კი დაგიძახებ მამიკოს, რომ ადვილად მიცნოო.

მას მერე სულ ვფიქრობდი, ჩემ შვილს რამე რომ გაუჭირდეს, მე აქედან როგორ დავიცავ? ბავშვი რომ დაიყვირებს „მამიკო“, მე სად ვიქნები ამ დროს? ამაზე ფიქრი ჯერ კიდევ როდის დაიწყო სულ პატარა ბიჭმა. ეგონა, მამა მასთან იქნებოდა. მე რა მამა გამოვდექი? დავიცავი ჩემი შვილი? რამდენჯერ ღამით საწოლიდან წამოვუგდივარ მის ძახილს, „მამიკოოოოო“.

ჩანს პარიზის ქუჩები, ეიფელის კოშკი, ბედნიერი ბარბარე, ირაკლი, ნინო, ვაჟა. სელფებს იღებენ, ისმის ფრანგული სიმღერა.

ბარბარე: (ვიდეოზარით) ანო, ხედავ? კარგად ჩანს?

ანო: ვაიმე, რა სილამაზეა! კარგად ერთობით?

ბარბარე: არაჩვეულებრივად!

ანო: რა ბედნიერებაა, ბარბი!

ბარბარე: ხვალ ვიწყებთ, ანო! საშინლად ვნერვიულობ.

ანო: ნუ ნერვიულობ, ირაკლი შენთანაა. ჯორჯი ნახე?

ბარბარე: არა, არც გამხსენებია.

ანო: რა ვიფიქრე და... ჯორჯს მაინც არ უთხრა არაფერი, თავი უნდა დაიზღვიო. რა იცი, იქნებ მანიაკია, გადაღებებზე არ მოვიდეს, რა არ ხდება!

ბარბარე: რა მანიაკი.... **(იცინის)** საერთოდ არ ვეტყვი ვინ ვარ. არ მინდა, მისმა ქართველმა გოგომ ჩემი ან ირაკლის ვინაობა გაიგოს. ჯერ გადაღებებს დავასრულებ, მერე მივწერ. ისედაც სტრესული იქნება გადაღებები, ეჭვის თვალით მიყურებენ... ახლა კი ძალიან ბედნიერი ვარ. მაგრამ მგონი, მაინც სისულელე გავაკეთე.

ანო: ირაკლის ეგ არ შეეშლებოდა. დაგეხმარება. არაფერზე იფიქრო. უბრალოდ, მიენდე. ვაჟაც იქ იქნება, ნინოსაც ხომ უყვარხარ?

ბარბარე: კი, ვუყვარვარ. ის დაავადებული ლევანი....

ანო: ლევანი რას გაბედავს? რამდენი ხნით რჩები?

ბარბარე: რადგან მე ასეთი პატარა როლი მაქვს, მალე დავასრულებ, მერე კი ვნახოთ.

ანო: არაფერზე იფიქრო. მიყვარხარ.

ბარბარე: მეც ძალიან მიყვარხარ, ანო.

სცენა მომენტალურად იცვლება, ბნელდება, ჩნდება გადასაღები მოედანი, სცენაზე დგას პროჟექტორი. ბარბარე ბრუნავს, სახეზე ხელებს იფარებს. თმა ჩამოშლილი აქვს, თხელი პერანგი აცვია, ზურგი შიშველი აქვს, ეტყობა კუზი. ბარბარე ხან ქართულად ლაპარაკობს, ხან ინგლისურად და ხან ფრანგულ გაზუთხულ ფრაზებს ისვრის. ჩნდებიან სხვებიც, გადამღები ჯგუფი, ვაჟა, ნინო, ირაკლი.

ირაკლი: **(ყვირილით)** კადრს ნუ აფუჭებ, რა სახით დგახარ!

ბარბარე: რა თქმა უნდა, ის ნარცისი ვერ მომაშორა ნინომ. კაცების ჩარევა კი არ გვინდოდა. წონიანი არგუმენტი ვერ მოვიფიქრეთ, სიმართლეს ვერ ვეტყოდით.

ნინო: სიმართლე დავუმალე და ვუთხარი, ლევანთან ერთად თამაში სტრესია-მეთქი, მაგრამ ირაკლიმ თქვა, რომ სტრესი ამ როლისთვის კარგია. მიზეზებით არ დაინტერესებულა. ჰოდა, ახლა ის ლევანი ლოშნის, ხელებს უსვამს ბარბარეს მთელ ტანზე. უამრავ დუბლს ვიღებთ. მეზიზღება!

ირაკლი: **(უხეშად)** რა ბედნიერი გამომეტყველება გაქვს? გაინძერი, გოგო! თავი აწიე! საიდან ეს სხივი? შიში! შიში უნდა გედოს სახეზე, შიში! ტკივილი!

ბარბარე: უკვე სკოლას ვამთავრებდი, როცა მივხვდი, რომ ადამიანისთვის მუდმივი ტკივილი ნორმალური არ იყო, არც ზურგზე დეფორმაციები, რომ პირიქით, მე ვიყავი გამონაკლისი, ალბათ იმიტომ, რომ ექიმები და მუდმივი ვარჯიში ჩვეულებრივი ამბავი მეგონა. და სახელი? სახელიც რა უცნაურად ჟღერდა - ბარბარე! ვინ არქმევდა მაშინ ბარბარეს? ახლა გახდა მოდური, თორემ მე დატანჯული ვიყავი.

ირაკლი: გოგო, რა გჭირს? შენ გგონია, სექსი გაქვს და სიამოვნებისგან უნდა იკრუტუნო? რომ გაიხადე და კაცი, რომელსაც უყვარხარ, შიშველს გხედავს, შენს ნაკლს ხედავს, შენს საიდუმლოს ხედავს. გეშინია! მისი ემოციები არ იცი, გესმის? შენ ხომ არ იცი, იმას რა რეაქცია ექნება! იმ კაცსაც ეშინია! პანიკაშია, შიში უნდა დაამარცხოს. იზიდავ, რაღაც ჯადო გაქვს! მისტიკა შემოდის მის ცხოვრებაში! მიდი, წარმოიდგინე ახლა და დავიწყეთ! ჰე! დამანახე შენი შიში, შენი ამობურცულობები!

ბარბარე: შიში? ნუთუ შეეშინდა, როცა პირველად გავიხადე? წინასწარ ემზადებოდა? როგორ წარმოედგინა ჩემი ამობურცულობები? შიში დაამარცხა? ემზადებოდა, რომ თავი არ გაეცა? დღესაც ეშინია? როგორი დელიკატური სახელი შეურჩია, ამობურცულობები! სახალხოდ ჩემი გაშიშვლებით თავის შიშს ამარცხებს? ამას მისტიკას ეძახის? ბოდიშს იხდის, რადგან მიზიდულობა ვერ გააკონტროლა? საერთოდ რა ხდება, სად ვარ, რატომ ვარ?

ირაკლი: სიყვარული ამოუშვი თვალებიდან! თვალები აკონტროლე! რას გავხარ! სიყვარული ამოუშვი მეთქი! ასე!

ბარბარე: არასოდეს შეხებია ჩემს ამობურცულობებს. ზურგით თუ მივუბრუნდები, ზეწარს მაფარებს, მეგონა, ჩემს გრძნობებს უფრთხილდებოდა! ეზიზღება? ეშინია?

ირაკლი: მხოლოდ შენ იცი, რა არის ნამდვილი შიში, უხერხულობა, მიდი, გამოანათე!

ბარბარე: ჰო, მხოლოდ მე ვიცი, რა არის ნამდვილი შიში, პანიკა! როცა დავდიოდი და ყველა ადამიანს გაფართოებული თვალებით შევყურებდი, ვფიქრობდი, აი, ამან ცხრა თვე გამოიარა დედის მუცელი. 9 თვე! 9 თვე იჯდა და მერე დაიბადა! ამანაც. ამანაც, ამანაც. ამანაც... გაძლებს ჩემი შვილი ცხრა თვე მუცელში? შევძლებ ჩემს მუცელში დაფლული წვეთი, გავზარდო და შვილად ვაქციო? აი, ეს არის ნამდვილი შიში! მერე, როგორ მიყვიროდა, რომ შვილი მოვუკალი. და ამ კაცთან ვცხოვრობ, ამ კაცს ვენდობი!

ირაკლი: მიდი, ამოუშვი, რაც არ გიტირია, ახლა იტირე,

ბარბარე: რაც მაშინ გინახავს, ალბათ ახლა გინდა დაინახო. მაგრამ ცრემლებისთვის მსახიობი გჭირდება, ირაკლი!

(ისმის ქალების და კაცების ხმები)

- ზოგს რა ბედი აქვს, ნაკლიც კი გამოადგება…
- ფიზიკურ ნაკლს კი არ დავცინით, მაგრამ...
- ეს ქალი რატომ ითვლება ლამაზად? შეხედე, რას გავს!
- ზურგზე ფუშფუშები ახლა მოდაშია?
- ირაკლისთან ჟიმაობა რომ მნდომოდა, მეც გადამიღებდა.
- ამას არ ჯობდა, მსახიობი აეყვანათ ბუტაფორია მიეკრათ?
- არა, ეგ იყო ირაკლის მოტივაცია, ბუნებრივი უნდოდა.
- ეგეც არ მყავდეს ალმადოვარი!

ირაკლი: უნდა დაიმახსოვრო, ომში ხარ! უნდა მოკვდე, რომ გმირად გაღიარონ. დაიკიდე, უნდა დაიკიდო, უნდა მოკვდე, დამიჯერე, სხვა გზა არ არსებობს, გოგო!

პარიზი. ბაღი. ბარბარე და ჯორჯი სხედან სკამზე, მერე დგებიან, სეირნობენ, ლაპარაკობენ. ისმის მუსიკა. სიტყვები არ ისმის. გამოდიან ავანსცენაზე.

ჯორჯი: ბოდიში, რომ თავიდანვე არ გითხარი ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი.

ბარბარე: რა პრობლემაა, ბლოგზე მეც ფსევდონიმით ვარ.

ჯორჯი: თუმცა, მგონია, რომ საქართველოში მაინც გიცნობს ხალხი, ალბათ პოპულარული ხარ.

ბარბარე: ჩვენთან ყველა ერთმანეთს იცნობს.

ჯორჯი: შენ სილამაზის გამოც, ალბათ.

ბარბარე: არა მგონია, ძალიან ლამაზი ვიყო. ჩვენთან ლამაზი ქალი არ უკვირთ.

ჯორჯი: კი, ეგ მეც გამიგია. არ დაგავიწყდეს, ჩემი ქართველი girlfriend.

ბარბარე: ჰო, მახსოვს... ნიკლას უაითჯორჯ. შენი გვარი ქართულად თეთრ გიორგის ნიშნავს. წმინდა გიორგი საქართველოს მფარველია.

ჯორჯი: ეს პირველად ოქსფორდში გავიგე. მაგრამ **on the other hand,** სენტ ჯორჯი და სანტა მარია მთელ საქრისტიანოს მფარველობენ, ფერების აღნიშვნაც ტიპიურია. მაგალითად, კატალონიის მფარველი შავი მადონაა.

ბარბარე: არ ვიცოდი. გამოდის, ბევრს მოგზაურობ?

ჯორჯი: კი, ასეა.

ბარბარე: იქნებ ერთ დღეს საქართველოშიც ჩამოხვიდე?

ჯორჯი: იქნებ.

ბარბარე: ქართველი გოგო როგორ გაიცანი?

ჯორჯი: სულ შემთხვევით. პარკში მოდიოდა ხოლმე, თავიდანვე რაღაც საეჭვოდ მომეჩვენა. ხალხს ელაპარაკებოდა, ათვალიერებდა. ერთმა ფრანგმა ეგრევე მითხრა, ეგ პოლიციელი ხომ არ არისო. აქ ასეთი სიტუაციაა - კი ძალიან ბევრი ხალხი ირევა, მაგრამ მაინც ყველას ხედავ და ცნობ. ორჯერ თუ მოვიდა, უკვე თვალში გხვდება. ეგ ისეთი გოგოა, როგორ ვთქვა, ძალიან ჩვეულებრივი, არც ლამაზია, არც რამე თავისი სტილი აქვს, მაგრამ მეორედ რომ მოვიდა, აშკარა იყო, ვიღაცას ეძებდა. მერე ისევ მოვიდა, ისევ, არაყი მოიტანა, კრუასანები, სიგარეტი, და როგორც ძაღლი შემოგეჩვევა, ისე შემოგვეჩვია.

ბარბარე: დიდი ხანი იყავით ერთად?

ჯორჯი: არც ისე დიდი, არც ცოტა.

ბარბარე: რატომ დაშორდით?

ჯორჯი: სიმართლე გავიგე და დავშორდი. ვიღაცას გამოუგზავნია.

ბარბარე: მართლა აგენტი იყო? პოლიციიდან?

ჯორჯი: ჰო, აგენტი. კერძო. ირენი... ირინა, იკამ გამომიგზავნა.

ბარბარე: იკამ?

ჯორჯი: ვერაფერს ხვდები? ირაკლიმ. მამაჩემია.

ბარბარე: მამაშენი? ირაკლი?

ჯორჯი: ჰო, მამაჩემი. მე ნიკუშა ვარ.

ბარბარე: ღმერთო! ნიკუშა შენ ხარ?

ჯორჯი: რომ იცოდე, მამაჩემი გღალატობს. ირენი... ირინა ზაფხულობით ჩამოდის და ირაკლი გატყუებს, ვითომ გადაღებებზე მიდის, ან პროექტზე. ახლა ირენი გადმოსვლას აპირებს თბილისში, აქ ვეღარ დარჩება, დაფინანსება აღარ აქვს, და ირაკლისთან ერთად აპირებს ცხოვრებას.

(ბარბარე ცუდად ხდება და იკეცება. ნიკუშა პანიკაშია, ხალხი გროვდება, იძახებენ სასწრაფო დახმარებას.)

ბარბარეს ბინა. ბარბარე ხან დივანზე წევს, ხან ტელევიზორს უყურებს, ხან კომპიუტერთან ზის, ხან საკერავ მანქანასთან, კაბის ზურგზე აკერებს არშიებს და ისინჯავს სარკის წინ. ისმის მუსიკა. სცენაზე სხვადასხვა სიტუაციაში ჩნდებიან ირაკლი, ვაჟა, ანო, ნინო, წერენ ხმოვან მესიჯებს ბარბარესთვის.

ნინო: საყვარელო, ირაკლიმ სულ პატარა ირინა გადაიღო თავის ფილმში. სულ ცდილობდა, ყველა ბიჭისთვის თავი მოეწონებინა. თუ ბიჭებს არ მოსწონდათ, თვითონ იგონებდა ისტორიებს. ახლა იკას რომ უთხრა, მას მერე მიყვარხარო, გადაირია ირაკლი, ხომ იცნობ მაგას, ბარბარე, საყვარელო. მაგრამ შენ უყვარხარ იკას.

ირაკლი: ბარბარა, ნუ ახურებ! არაფერი მაქვს იმ გოგოსთან. სამი დღე ვიყავით სასტუმროში, მაგაზე გაბრაზდი? მხოლოდ ვლაპარაკობდით, ნიკუშაზე მიყვებოდა.

ანო: გამოდი გარეთ, ბარბი, ნახე, როგორი ამინდია.

ირაკლი: ბარბარე, ბარბარა, ნუ შემიძულებ. ვიცი, დამნაშავე ვარ, მაგრამ მიყვარს სიყვარული, შენ მიყვარხარ, მარიკაც მიყვარს დღემდე.

ნინო: ნუ ინერვიულებ, ბარბარე, უკვე გავახმოვანეთ, შენი მოსვლა არ გახდა საჭირო. დაისვენე. მომწერე, დამირეკე.

ირაკლი: ფესტივალზე მაინც წამოდი! პრიზს თუ არ მოგცემენ, ნომინანტი ხომ ხარ! აი, სად გამჟღავნდა ჩემი აპოგეური გენიოსობა, შენ ფიტულივით დგახარ, მე კი ასე წარმოგაჩენ! მაღიარე!

ვაჟა: თქვენო უბარბარესობავ.... ფრანგებს უნდათ, ახალ პროგრამაში ჩაგრთონ. გამოჩნდი, მენატრები.

ანო: ბარბი, მერე რა, თუ ირაკლი და ის ირინა ერთად ცხოვრობენ, მაგათ მაინც არეული აქვთ ურთიერთობები, ხომ იცი, თუ არ იცი?

ნინო: ბარბარე, საყვარელო. ჟან პიერს შენი ნახვა უნდა, ჩამოვა. იკა სულ შენზე ლაპარაკობს.

ანო: რა მაგარია, ბარბარე, გუშინ ხომ კარგად გავერთეთ? იცი, ის ირინა... სახელს არ ვახსენებ, უკან დაბრუნდა, პარიზში, ხომ გეუბნებოდი, საქმეები აერიათ მეთქი.

ირაკლი: ბაბეტა კი არა, მე წავედი ომში. დიდი სიახლე მაქვს, გოგო. უნდა გნახო!

ანო: ერთი ბიჭი გავიცანი, იმასაც ტაქსა ჰყავს. ერთად ვასეირნებთ ტაქსებს, ოღონდ ახლა ლიმუზინებს ვეძახით. კაი ტიპია, მაჩო არ არის. მაგრამ ახლოს არ ვუშვებ.

ირაკლი: ჩამოვედი, პარიზში, კლინიკაში ვწევარ. მინდა, აქაურობა გაჩვენო. ნუ მითიშავ ხოლმე, გემუდარები.

ნინო: ბარბარე, ძვირფასო, როგორ ხარ? ვკითხულობ შენს ბლოგს, იკამ და ჩურჩუტელა ნიკუშამ, ასე თუ ისე, ააწყვეს ურთიერთობა. ირაკლი ახლაც პარიზშია, ნიკუშასთან.

ვაჟა: ირაკლი ამბობს, ბარბარემ იცის, რატომ ვარ კლინიკაშიო, შენ რამე იცი? ბარბარე, ვიცი, არ გინდა არავისთან ლაპარაკი, მაგრამ ჩემთვის დაუშვი გამონაკლისი, გთხოვ! ფრანგებს მაინც უპასუხე. გკოცნი, მენატრები.

ანო: ვაიმე, ეს პანდემია გვინდოდა ახლა? გარეთ გავიდეთ, ვისეირნოთ.

ირაკლი: ჩამოვედი. სერიოზული საქმე მაქვს. უნდა გნახო. მხოლოდ შენ გამიგებ, ომი გვაქვს მოსაგები, გოგო, დიდი ომი, ბაბეტა.

ბარბარეს ბინა. კარზე ზარია. ბარბარე კარს აღებს. შემოდის ირაკლი.

ირაკლი: ქალბატონო ბარბარე ომში მიდის, გამარჯობათ. **(იწევს საკოცნელად)**

ბარბარე: ახლოს არ მოხვიდე.

ირაკლი: აუ, ახურებ რა! გეშინია, არ დაგდორბლო?

ბარბარე: არ მეხუმრება. რა გინდა?

ირაკლი: არაფერი. მომენატრე.

ბარბარე: შენი ირინა თუ ირენი არ მოგენატრა?

ირაკლი: მეწყინა, ბარბარა. **(ბარბარე უხმოდ უყურებს)** მაპატიე. და არ შემიძულო.

ბარბარე: ვერ ვიტან მაგ სტანდარტულ ფრაზებს.

ირაკლი: ფრანგები ტურნეს აკეთებენ, რატომ აიგნორებ, დაელაპარაკე, როგორ იქცევი!

ბარბარე: ალბათ შიშველს გალიაში ჩამსვამენ და მომატარებენ ქვეყანას. ეგზოტიკური ბუტაფორია და ამობურცულობები აინტერესებთ სხვა პროექტშიც, არა?

ირაკლი: არ მეგონა, თუ ასე განიცდიდი... მაგრამ ვიცი, რომ არ გძულვარ. ირინა კი გაღიზიანებს, მაგრამ ისიც მეუბნებოდა, ბარბარეს ნამდვილად უყვარხარო.

ბარბარე: რა პატივია. ფსიქოანალიზის სეანსებს აწყობდით? მე განმიხილავდით?

ირაკლი: კარგი რა!

ბარბარე: საიმედო ხელში გტოვებ, იმ ქალს უყვარხარო? მეტყვი, სამი დღე ერთად კი ვიყავით გამოკეტილი სასტუმროს ნომერში, მაგრამ მხოლოდ ვლაპარაკობდითო.

ირაკლი: რაზე გაჭედე, სექსი რა გგონია შენ? რა პრობლემაა, თუ სექსი მქონდა?

ბარბარე: არ არის პრობლემა. შევიგნე. ახლა წადი.

ირაკლი: მომისმინე. რაღაც მოხდა.

ბარბარე: პარიზში ჩააკითხე და გამოგაგდო?

ირაკლი: **(მოთმინებას კარგავს)** არა. მომისმინე, ერთი შეკითხვა მაქვს, ეს თუ არ გავარკვიე, ცხოვრებას ვერ გავაგრძელებ. სიმართლე უნდა მითხრა.

ბარბარე: არაფერი მოგივა, მშვენივრად გააგრძელებ...

ირაკლი: მომისმინე მეთქი! შენ იცოდი და არაფერი მითხარი?

ბარბარე: ვიცოდი რა?

ირაკლი: იცი რაც... მე ნიკუშამ მითხრა. შენც უნდა იცოდე, ნიკუშა ხომ გწერს?

ბარბარე: ეგ შენ არ გეხება.

ირაკლი: იცოდი? უბრალოდ, მითხარი, ჰო თუ არა.

ბარბარე: ნიკუშამ არ გითხრა? მე სანთელი არ მჭერია.

ირაკლი: რა სანთელი? **(სკამზე ჯდება)** რა სანთელი მეთქი?

ბარბარე: რას მეკითხები? შენ რა გაინტერესებდა?

ირაკლი: კარგად ამიხსენი. რა სანთელი? **(ირაკლი დგება, ბარბარესთან მიდის და მკლავში ხელს კიდებს)**

ბარბარე: მომშორდი, ნუ მაშინებ! შენ რას მეკითხები?

ირაკლი: იცოდი, რომ დაფინანსება არ ჰქონდა და საფრანგეთმა გამოაგდო? მე კი დამაბოლა, შენთან მოვდივარ, ქმარი შენს გამო მივატოვეო.

ბარბარე: ჰო, ვიცოდი. ხელი გამიშვი. მტკივა.

ირაკლი: **(ხელს უშვებს, ჯდება)** და ისიც გითხრა, რომ...

ბარბარე: ჰო, ეგეც მითხრა.

ირაკლი: და მე რატომ დამიმალე?

ბარბარე: თვითონ უნდა ეთქვათ. ეგ შენი ირენე არ იყო გულწრფელობის აპოგეა?

ირაკლი: ჩემმა შვილმა მითხრა, იმ ქალმა გაგამაიმუნა, შენ კი ამბებს თხზავ წმინდა სიყვარულზე, დასაცინი ხარ, როდის უნდა გამოფხიზლდეო.

ბარბარე: ცოტა სასტიკად მოსვლია, მამას დამსგავსებია.

ირაკლი: მაგრამ ნიკუშას არ უთქვამს, რომ მასთან რამე ჰქონდა. ახლა შენ მაგიჟებ, გინდა, ჭკუიდან შემშალო. რატომ გინდა, ძლივს ნაპოვნ შვილს დამაპირისპირო?

ბარბარე: ირენეს ხომ ენდობი? ხომ გულწრფელად გამოგიტყდა, ბავშვობიდან მიყვარხარო? ვერ აგაგდო?

ირაკლი: ახურებ ახლა! ეგ ამბავი დავასრულე. მორჩა! ვნახე ცნობა, პარიზის კლინიკას რომ გამოუგზავნია. სად დაგემართა ეგ ხუთვები თუ შეტევა, თუ რაც ქვია? სასწრაფო ვინ გამოიძახა? კლინიკაში ვინ წამოგყვა?

ბარბარე: ვინ?

ირაკლი: ნიკლას უაითჯორჯი. ჩემი ნიკუშა. რა გინდოდა ნიკუშასთან? დაგავიწყდა, რამდენი წლის ხარ, ბავშვებს რატომ აგიჟებ?

ბარბარე: ნიკუშა ბავშვი არ არის, კაცია და თავისუფლად შეიძლება, ჩემი ასაკის ქალი შეუყვარდეს. შენ არ გიყვარს პატარა გოგოები?

ირაკლი: მოკეტე!

ბარბარე: პარანოია გაქვს, ირაკლი. გეშინია, ქალი არ დაგრჩეს გაუჟიმავი. ყველა გინდა, ყველა. საკმარისია, ვინმემ ტკბილი სიტყვა გითხრას. *ვაიმე, ირაკლი, რა გენიალური რეჟისორი ხართ!* და მორჩა, მზად ხარ!

ჩემზეც პარანოია გაქვს, გული გისკდება, ვინმე არ გავიცნო, სულ მაკონტროლებ, გგონია, არ ვიცი? ახლა ღალატი გელანდება, თანაც საკუთარ შვილთან!

ირაკლი: ნიკუშა სამაგიეროს მიხდის. თან მამიკოს მეძახის, მაგიჟებს. ეს რომ მესმის, მგონია, რომ შველა სჭირდება. ღმერთო, რატომ უნდა ჩემ შვილს, ჩემს ქალებს გადაუაროს, მე კი გული გამიხეთქოს?

ბარბარე: რა ხდება? ფიქრობ, რომ მაგას დაემართა...

ირაკლი: გეყოფა ეგ ინტელექტუალიზმი! ყველანაირი ანალიზის და არქეტიპის დედა მოვტყან!

ბარბარე: ნუ იგინები. კომპლექსებზე ლაპარაკს არ ვაპირებდი.

ირაკლი: რა ცინიზმია, ბარბარა! ეგ თქვენი ოიდიპოსის ამბავი აჩვენებს, რომ საზოგადოებაში ყველას თავისი სახელი უნდა ერქვას, რომ ქაოსი დაუშვებელია ურთიერთობებში, თორემ შესაძლოა, ბედმა მწარედ იხუმროს.

ბარბარე: **(ცინიკურად)** საოცარია პირდაპირ, ამას შენ ამბობ? ქაოსი დაუშვებელია ურთიერთობებში? გული ხომ არ გატკინეს?

ირაკლი: ირინა მე გავუგზავნე, გასაგებია, მაგრამ შენ როგორღა მოგაგნო?

ბარბარე: იქნებ მამასთან კონტაქტი ასე უნდოდა? ბლოგზე მიტოვებდა კომენტარებს, როგორც საქართველოს მოყვარული. სახელიც სხვა ჰქონდა. მე მკითხავი ვარ თუ გულთმისანი?

ირაკლი: და პარიზში შეხვდი, არა? მე კი დამიმალე.

ბარბარე: ყველაფერი უნდა შეგითანხმო?

ირაკლი: უცხო ქალაქში ხვდები ვიღაცას, რა იცი, იქნებ მანიაკია?

ბარბარე: ირაკლი, რატომ მოხვედი? რადგან ეგ ცნობა ნახე?

ირაკლი: ჰო. ნეტა ნინომ რისთვის შეინახა! საიდან გაიგე, რომ ნიკუშა იყო? თვითონ გითხრა თუ მიხვდი?

ბარბარე: ნიკუშამ მითხრა და იმიტომ დამემართა ის ხუთვები. მე მასთან არაფერი მქონია, კარგად დაიმახსოვრე.

ირაკლი: ეგ არაფერს ცვლის.

ბარბარე: შენთვის არ ცვლის. პარიზში ვინ მოინახულე?

ირაკლი: არ გინდა ეგ ტონი, არ გიხდება. კლინიკაში ვიწექი. გირეკავდი, ვიფიქრე, იქაურობას გაჩვენებდი, მაგრამ შენ არ მოინდომე.

ბარბარე: რატომ მოხვედი?

ირაკლი: არ მეკითხები, კლინიკაში რა მინდოდა? ეს შენც გეხება.

ბარბარე: თუ ავად ხარ, მე მეხება, თუ კარგად ხარ, მაშინ სხვას... სხვებს...

ირაკლი: მორჩი ახლა. და კარგად მომისმინე. რაღაც უნდა გითხრა. **(ახლოს მიდის, რაღაცას გაურკვევლად ამბობს)**

ბარბარე: **(ხელს კრავს. იცინის.)** გგონია, იხუმრებ, მაკოცებ და მორჩა, შენი ვარ, მერე ვიღაცას გაეკიდები და ისევ იგივე წრეზე ვივლით?

ირაკლი: სიმართლეს ვამბობ. გაიხსენე, გოდარმა მითხრა, რომ უნდა ვიყოთ ნოვატორები, არ უნდა შეგვეშინდეს. მამაჩემიც ამბობდა, ტექნოლოგიების ეპოქა მოდისო.

ბარბარე: მე რა შუაში ვარ?

ირაკლი: რა კაცივით ლაპარაკობ!

ბარბარე: დიდი მადლობა, რომ სიყვარულს არ ახსენებ.

ირაკლი: სიმართლეს ვამბობ, ბარბარე! სამედიცინო ბარათს გაჩვენებ.

ბარბარე: მომშორდი, ავად ხარ.

ირაკლი: ხო, ავად ვარ. **(ირაკლი ბარბარეს ხელს იღებს და ცდილობს, თავის სხეულზე დაადებინოს, ბარბარე უძალიანდება, ირაკლი რაღაცას გაურკვევლად ეუბნება)**

ბარბარე: **(ისტერიულად იცინის)** დრამიდან კომედიაზე გადახვედი?

ირაკლი: **(რაღაცას გაურკვევლად იმეორებს)**

ბარბარე: (კივის) არ მომეკარო.

ირაკლი: ბარბარა, მოდი, ხელი დამადე. გთხოვ, ბარბარუკა, არ წახვიდე... არ მიმატოვო... ახლა პანდემია მოიგონეს ამ ახვრებმა და პარიზში ვეღარ წავალ. ბარბარე, ეს შენც გეხება-მეთქი,!

ბარბარე მარტო ზის პარკში, უკეთია პირბადე. მობილურში ჩართული აქვს ვიდეო, ისმის ხმა - ***„პანდემია გამოგონილია, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია დაეპატრონება მთელ დედამიწას, აღარ იქნება ქვეყნები, ერები, კორონა არის გამოგონილი ხალხის დასამონებლად, ჩვენ ვიქნებით მათი მონები, ახლა ვითომ ვაქცინას გამოიგონებენ, რეალურად კი ხალხს შეუყვანენ ჩიპებს. დაიწყება ხალხის მასიური დაჩიპვა, დაგეგმილია ხალხს ჰულტით მართვა...“*** **მოდის ანო, ჯდება. ბარბარე თიშავს ვიდეოს.**

ანო: მაგ გიჟებს უსმენ? **(იცინის)** კოცნა მინდა და ვერ ვბედავ... რა დროა, ღმერთო!

ბარბარე: მაინც გაკოცებ. **(ეხუტებიან ერთმანეთს)**

ანო: მოდი. **(კოცნის)** რა პირბადე გიკეთია, ნორმალური ვერ იპოვე?

ბარბარე: მე გასაპრანჭ პირბადეს არ გავიკეთებ, ვაპროტესტებ პანდემიას, მორჩა! თუ სარეკლამო იქნება, კარგი, მაგრამ არა გასაპრანჭი! კეკელკური არა!

ანო: ეს კეკელკურია ახლა? (**იხსნის პირბადეს.)**

ბარბარე: ეგ უბრალოდ ფერადია. (**იხსნის პირბადეს. ცუდად გამოიყურება.)**

ანო: რა სახე გაქვს, მოხდა რამე?

ბარბარე: შეიძლება ასეც ითქვას.

ანო: აღარ შემიძლია, სახლში ვზივარ, სულ ონლაინ ლექციები მაქვს, აქაც ვზივარ. უნდა ვივარჯიშო. შენც უნდა ივარჯიშო. **(დგება და ვარჯიშს იწყებს.)** ესენი რას მიყურებენ? ადექი შენც, ბარბი.

ბარბარე: როგორ მიდის ონლაინ სწავლება? მოგწონს ზუმი?

ანო: ჩემი სტუდენტები გადასარევად კოტრიალობენ ლოგინში, კამერას არ რთავენ, არაფერს ამბობენ. მე კი ლექციის წინ შანელსაც კი ვისხამ.

ბარბარე: შანელს?

ანო: ჰო, ზუმისთვის, სპეციალურად. **(იცინიან)** ადექი, ბარბი, ვივარჯიშოთ.

ბარბარე: არ მინდა ვარჯიში, მინდა ოცი კილო მოვიმატო, აღარ მინდა, რომ გავივლი, კაცებმა ტრაკზე მიყურონ, აღარ მინდა, ნაშას მეძახდნენ, აღარ მინდა, კაცმა თავი ვალდებულად ჩათვალოს, მრავალაზროვანი კომპლიმენტები მითხრას.

ანო: არ გინდა, ნუ გინდა, მთავარია, კარგად ვიყოთ. როცა არჩევანის წინაშე დგები, გაგიჟდე თუ გაბრწყინდე, ჩვენ ვირჩევთ გაბრწყინებას. **(ბუქნებს აკეთებს)** ბარბი, ნეტა, ვაქცინას შექმნიან? აცრას თუ გავიკეთებთ, გვეშველება? **(ბარბარე დუმს, ცაში იყურება, ანო ჯდება.)** რა მოხდა?

ბარბარე: (ძალიან ჩუმად) მე და ირაკლი შევრიგდით.

ანო: (იცინის) შენისთანები დააბოლე.

ბარბარე: მართლა შევრიგდით. მოვიდა, მელაპარაკა, შევრიგდით. ესაა პროცესის აღწერილობა.

ანო: არ მჯერა. ისე, იმ დღეს დავინახე ქუჩაში, ძალიან, ძალიან შეცვლილი მომეჩვენა.

ბარბარე: როგორ იყო შეცვლილი?

ანო: როგორ გითხრა. თითქოს ბედნიერი სახე ჰქონდა.

ბარბარე: იქნებ არც.

ანო: იქნებ... რამდენი ხანია, რაც შეურიგდი? ვითომ შეურიგდი, განვიხილოთ ეგ უტოპიური ვარიანტიც. შენ გამო იყო ბედნიერი?

ბარბარე: მართლა შევურიგდი.

ანო: ის ირენა თუ ირინა სად ყავს?

ბარბარე: მაგის სახელს ნუ მიხსენებ. **(პაუზა)** დიდ პარიზში. იშოვა დაფინანსება და წავიდა, ეგ ხომ იცი შენ.

ანო: იქნებ ჩამოვიდა ისევ, რა გამიკვირდება! რას გაასწრო პანდემიას!

ბარბარე: ხომ გახსოვს, დაფინანსების ამბავი მე ნიკუშამ მითხრა.

ანო: ჰო, ვიცი. ეგ უნდა გეთქვა ირაკლისთვის.

ბარბარე: მე ვერ ვეტყოდი.

ანო: რატომ?

ბარბარე: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მეტყოდა, იგონებო. თანაც, ჩემი საქმე არ არის.

ანო: აბა ვისი საქმეა? დგას და მისტირის დაკარგულ სიყვარულს.

ბარბარე: მისტირის და იტიროს. მაგას უყვარს დრამები. **(ხმადაბლა)** იცის ირაკლიმ, უთქვამს ნიკუშას. **(ტირილს იწყებს)**

ანო: შენ გადანაშაულებს რამეში? მანიპულატორი! **(ჩანთიდან წყლის ბოთლს იღებს და ბარბარეს აწვდის)**

ბარბარე: (წყალს სვამს, მშვიდდება) შენ უნდა იცოდე, რომ ეგ კაცი მომკლავს.

ანო: მართლა შერიგდით? რას გადაგეკიდა, ბარბი! თავი შეგაცოდა? შეურიგდი და შეურიგდი, რა ტრაგედიაა ახლა ეს? მალე დაშორდებით. აღარ იტირო, გეხვეწები!

ბარბარე: რაღაცას გეტყვი, მაგრამ ყველა უნდა დაიფიცო, რომ ხმას არ ამოიღებ.

ანო: დაგარტყა?

ბარბარე: ანო! როდის იყო, მცემდა! **(ოხრავს)** რაღაც ჭირს ირაკლის. ავადაა.

ანო: რამე სერიოზულია? ჩქარა მითხარი, თორემ გული ცუდად მაქვს.

ბარბარე: გეტყვი, ამომასუნთქე.

ანო: რაღაც წამალიც მაქვს. მოვქექავ.

ბარბარე: არ ვიცი, საიდან დავიწყო.

ანო: პირდაპირ დაიწყე. შესავლის გარეშე. **(წამალს აწვდის)** წყალი მიაყოლე.

ბარბარე: (წამალს სვამს) ირაკლი... ირაკლი... ამბობს, რომ ფეხმძიმედაა.

ანო: ვინ? ირინა?

ბარბარე: ღმერთო! ანო! არა! ირაკლი!

ანო: ირინა არა? ვინმე სხვა? გამახსენდა! ერთხელ დავინახე, მერე ჭორადაც გავიგე. ჭორად რა, ამბად, ერთი ლამაზი გოგოა, მგონი 27 წლის... თუ ეგ გოგოა ფეხმძიმედ, შენგან რა უნდა?

ბარბარე: ნეტა გოგო იყოს! ირაკლის სჯერა, რომ თვითონაა ფეხმძიმედ.

ანო: (ძალიან ხმამაღლა იცინის) ირაკლის? ეგ ირაკლის სჯერა?

ბარბარე: ჰო. მუცელში ბავშვი მყავს და მოძრაობსო.

ანო: ვაიმე, არა! ცოტა მომატებული კი იყო. **(ანო ისტერიულად იცინის)**

ბარბარე: (ნერვიულად) და ნუ იცინი.

ანო: თავს ვერ ვიკავებ. ასე მგონია, მატყუებ.

(ანო უფრო მეტად იცინის. ბარბარესაც სიცილი უტყდება. ორივეს სიცილისგან ცრემლები სდის. ბარბარეს სიცილი ტირილში გადასდის.)

ბარბარე: (ტირილით) ვნანობ, რომ გითხარი.

ანო: ან თვითონ გატყუებს. **(შეძრწუნებული)** ეგ თუ მართალია, რა უნდა ვქნათ? რამე უნდა მოვიფიქროთ. და ნუ ტირი, გეხვეწები, თორემ მეც ვიტირებ. ირაკლი ფსიქოლოგთან უნდა წავიდეს. ან ფსიქიატრთან.

ბარბარე: არა. გამორიცხულია.

ანო: მე ვიცნობ ერთ მაგარ ფსიქოლოგს, ამერიკაშია, ონლაინ ჩაერთვებით. პანდემიამ ეგ სიკეთე მაინც მოგვიტანა...

ბარბარე: არა, ირაკლის ფსიქოლოგს ვერ ვუხსენებ, და დიდი რისკიცაა. რომ გაჟონოს?

ანო: არ გაჟონავს.

ბარბარე: დიდია ცდუნება, ანო, ასეთი ამბავი, ცნობილი ადამიანი.

ანო: ჰო, თბილისში ვინ ჩააგდებს ასეთ შანსს! რომც გაჟონოს, იტყვის, რომ ფილმისთვის ექსპერიმენტს ატარებს. გამოძვრება როგორმე.

ბარბარე: გესმის შენც, რომ ვერ გამოძვრება. ერთი კარგი ამბავი ისაა, რომ არავის ეუბნება ამ ამბავს. შენ ერთადერთი ხარ, ვინც ჩვენს გარდა იცის.

ანო: მაინც ვერ ვხვდები, რა დაემართა. იქნებ გაგიჟებს? გეკაიფება. იქნებ, სცენარს წერს და შენზე ცდის რეაქციებს?

ბარბარე: კი, მიზანმიმართულად მაგიჟებს. მკლავს. გეთანხმები.

ანო: არა, მაგას კი არ ვამბობ. იქნებ გაღადავებს, რა ვიცი, გაბოლებს.

ბარბარე: ნეტა მართლა ეგ იყოს.

ანო: ორსულობის სინდრომი აქვს?

ბარბარე: არა მგონია, ვქექე ეგეც. ორსულობის სინდრომი უფრო ემპათიის გამოხატვაა

ორსულის მიმართ. კაცები ცდილობენ, ორსული ქალის მდგომარეობაში შევიდნენ და ზოგს მუცელიც ეზრდება. ამ შემთხვევაში, ვინაა ორსულად?

ანო: შენ უნდა წახვიდე და ფსიქოლოგს უთხრა, რომ შენ გჭირს ეს.

ბარბარე: რომ ორსულად ვარ? თუ ვერ გამიგია ორსულად ვარ თუ არა?

ანო: ჰო, არ გამოვა. იქნებ მაინც წახვიდე. შენც გჭირდება ფსიქოლოგი.

ბარბარე: მჭირდება, წინ უარესი მელის, ეჭვიც არ მეპარება, ვეღარ გავუძლებ.

ანო: ვეღარ. და ირაკლის როგორ დაეწყო ის... ის...? საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ?

ბარბარე: ამბობს, რომ საფრანგეთში რაღაც სამეცნიერო ექსპერიმენტში მიიღო მონაწილეობა. რომ გოდარმა ურჩია.

ანო: ვინ გოდარმა, იმ გოდარმა?

ბარბარე: ჰო. და ახლა, პანდემიის გამო, ვეღარ ჩადის პარიზში და აქ უნდა გააჩინოს... ასე ამბობს, უნდა გავაჩინოო, მართლა კი არ უნდა გააჩინოს.

ანო: ვერ გააჩენს, მართლა ორსულად ვერ იქნება. საკეისროთი უნდა გავაჩინოო?

ბარბარე: ჰო. მგონი.

ანო: და სად წავა? ვის მიადგება?

ბარბარე: არ ვიცი. საქართველოდან არავინაა იმ ორგანიზაციაში, ანუ აქ ეგეთი ექიმები არ გვყავს. მე მეუბნება, ეს შენი შვილიც არისო. შენი დნმ გამოიყენესო. მე არ მჯერა, ან როგორი დასაჯერებელია?

ანო: (მობილურს ნერვიულად სქროლავს) დარწმუნებული ხარ, რომ გოდარი ნახა?

ბარბარე: ასე მითხრა.

ანო: გითხრა, მაგრამ რეალურად ნახა? გადაიღო? ვიდეო სადმე დაიდო? ან ფოტო? შენ წარმოგიდგენია, რომ გოდარს შეხვდა და მერე არაფერი გამოაქვეყნა?

ბარბარე: ეგ მეც ვკითხე, მაგრამ ფოტოებს არ იღებსო.

ანო: და ვისთან ერთად წავიდა? ვინმეს იცნობ, ვინც იქ იყო?

ბარბარე: იქაურებმა წამიყვანესო. მერე საავადმყოფოში იწვა. მე რომ მეგონა, ირინასთან წავიდა... სახელს არ ვახსენებ... კლინიკაში ყოფილა.

ანო: ვიდეოთი გერთვებოდა? ექიმები ჩანდნენ?

ბარბარე: ვიდეოთი მერთვებოდა, კი, ვერც გაარკვევდი, საიდან. ნანოტექნოლოგიებს ახსენებდა, მაგრამ მე ხომ ვუთიშავდი. ორი თვე იწვა კლინიკაში. შენი დნმ დაამუშავეს და ჩემი ორგანიზმი მოამზადესო, ბადე მაქვს შიგნით ბავშვისთვისო.

ანო: და როგორ მოამზადესო?

ბარბარე: არ ვიცი, მეშინია მასთან ლაპარაკის, იმასაც კი ვფიქრობ, ვარ კი მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ უსაფრთხოდ?

ანო: ბარბარე, მაშინებ.

ბარბარე: არა მგონია, რამე დამიშავოს.

ანო: არც მე. სტუდიაში არ დადის ხოლმე?

ბარბარე: როგორ არა. ნინოსაც ხვდება, ვაჟასაც, გადარეულები არიან, პანდემიის შოკს აბრალებენ ცვლილებებს. კიდევ კარგი, მაგათ არ უთხრა, ბავშვს ვაჩენო.

ანო: რას ნიშნავს, მოამზადეს ორგანიზმი? ყვითელი სითხე შეუყვანეს? ორსულობა რომ დადგეს, ყვითელი სითხე აუცილებელია. მერე, მინიმუმ, პირველი შვიდი კვირა მაინც, რომ არ მოეშალოს მუცელი. და ბადე თუ ქსელი რა უნდა იყოს? საშვილოსნოს აქვს ქსელის აგებულება? თუ ბადის? საშვილოსნო არაფერ შუაშიაო? რა უცნაურია, ბარბი! რამე წამალს სვამს, ან ნემსებს იკეთებს?

ბარბარე: კი, რაღაცას.

ანო: პროგესტერონი ხომ არ არის?

ბარბარე: ვერ ვხვდები, პროგესტერონი კაცისთვის საკმარისია?

ანო: რას ამბობ! არც საკვერცხეა და არც საშვილოსნო, არც სპერმა და არც კვერცხუჯრედი. ვერ ვხვდები, ბადეზე რატომ ლაპარაკობს, ან ქსელზე. ბადეს რა ქმნის? ან თუ პლაცენტა არ იქნა, ბავშვი როგორ ისუნთქებს, როგორ იკვებება?

ბარბარე: აბსურდია.

ანო: თუ უცხოპლანეტელები არ ჩამოვიდნენ.

ბარბარე: რა უცხოპლანეტელები!

ანო: მართლა ორსულად ხომ არ არის? ხომ არსებობს ნანომედიცინა, ნანოტექნოლოგიები, შეიყვანენ ნანობოტებს ორგანიზმში და შექმნიან სასურველ

გარემოს და ქსოვილებს. 3D პრინტერი გაგიგია? იცი, მაგით შეიძლება სახლები ააშენო. დააპროგრამებ და ქსეროქსზე ამოგიბეჭდავს ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, ავეჯს, სახლს...

ბარბარე: ბავშვსაც? ნეტა არ გავრეკავდეთ ჩვენ!

ანო: წადით ექიმთან. ექიმს უთხარი, ძალიან გასუქდა და მინდა შევამოწმო-თქო.

ბარბარე: და ირაკლის რა ვუთხრა?

ანო: უთხარი, ვნახოთ რა ხდება ბავშვის თავს-თქო. ნახოს თავისი თვალით, რომ მუცელი ცარიელი აქვს. ექოსკოპია გაიკეთოს.

ბარბარე: რა ბავშვი! მაგას საერთოდ არ ვახსენებ.

ანო: აყევი თამაშში, ჯობია.

ბარბარე: უფრო გავაგიჟო? **(ტირის)** ჭკუიდან მშლის! იქ გაკეთებული ექოსკოპიის ფოტოს გაჩვენებო! სამყარო საშინელ ნიშნებს მიგზავნის!

ანო: ღმერთო, ბარბი! რა გამახსენე! ექოს ფოტო ერთი წლის მერე რომ გედო ჩანთაში, და ბავშვის ტანსაცმელიც...

ბარბარე: ჰო, დავდიოდი და წარმოვიდგენდი, აი, ჩემი გოგო გაიზარდა და უკვე შვიდი თვისაა, ახლა თბილი ტანსაცმელი სჭირდება, ახლა წინდები... ახლა ზაფხულია, სეზონი შეიცვალა...

ანო: კიდევ კარგი თავი დააღწიე.

ბარბარე: და გახსოვს, ექოზე რომ წავედით, შეწყვეტილია ორსულობაო, გამოფხეკის შემდეგ, თქვენ წაიღეთ მასალა ლაბორატორიაში, ბარემ იქით მიდიხართო. მასალაო!

ანო: პლასტმასის კონტეინერი - მასალა ნომერი...ღმერთო, რა სისასტიკეა. და ის ვაჟბატონი, აქეთ მოგდგა, ჩემი ბავშვი როგორ დაკარგეო. ჩემი შვილიო! თვითონ პრაღაში ეყოლებოდა ვინმე ჩამოკონწიალებული, ისე მუზა ახლოს არ ეკარება!

ბარბარე: ეგ ამბები, სადღაც მივკუჭე. ირაკლიმ მაცალა, გადამეხარშა და მერე მომადგა. მიუხედავად მისი სიველურისა, მაინც მოახერხა და ძალიან ბედნიერები ვიყავით. **(თვალებს იწმენდს)** გადაღებებმა კი საშინლად გადამღალა. რა უნდოდათ ჩემგან, ვერ გავიგე. სიგიჟეში ჩამითრია, შეშლილია, გეუბნები.

ანო: (ხელზე კიდებს ხელს) ბარბი! **(ოხრავს)** მე მაინც ფსიქოლოგთან წასვლას ვემხრობი. ორივე წადით. ან შენ წადი და ყველაფერი უამბე. სადღაც ლოგიკურია მისი განცდები. ნიკუშას ამბავი, შენი ამბავი, იმ გოგოს ამბავი, სახელს არ ვახსენებ.

უამრავი ქალი ყავს და ენერგიებს უმიზნოდ ფანტავს. შვილი უნდა, პანდემიაც როგორ დაემთხვა, იძულებულია, გადაღებები გააჩეროს. მესმის მისი.

ბარბარე: არ შემაცოდო საწყალი! ტიპიური ეგოისტია. ჩემზე ვინ ფიქრობს?

ანო: მე ვფიქრობ შენზე. **(ეხუტება)** ირაკლი ჯანდაბამდე წასულა! პრობლემები აქვს და მოაგვაროს! პირველ რიგში შენი თავი უნდა დააყენო, ბარბარე!

ბარბარე: ეგ მხოლოდ თეორიებია. ვერ მივატოვებ. მირჩევნია, ჩემთან იყოს, ვიდრე სხვას გაანდოს. ირაკლიმ თავისი ავტორიტეტი უნდა შეინარჩუნოს, თუ ერთი ხმა დაირხა, გადაუვლიან...

ანო: ხმა დაირხა? რაც მაგან თავის თავს გაუკეთა! როდის ყოფილა დალაგებული?

ბარბარე: აღარ შემიძლია.**(თავზე ხელებს წაივლებს)** წავედი. **(წამოდგომას აპირებს)**

ანო: მოიცადე, არ წახვიდე. იცი, რა ვიფიქრე? რამდენი ქალი ყავს... კი არა, ყოლია... ჯანდაბა მაგას. ნუთუ ბავშვი არავინ გააჩინა? მოსაძებნია. ადვილი შესაძლებელია, ყავდეს შვილი სადღაც.

ბარბარე: არ არსებობს, ეგ შვილს არ მიატოვებდა.

ანო: იქნებ, არც იცის. ჭორადაც არაფერი გაგიგია?

ბარბარე: არა, არაფერი. და უფრო ნუ მაბნევ, ახალ უტოპიაში ვერ გადავალთ.

ანო: ბარბი, ერთი შეკითხვა მაქვს და ძალიან გთხოვ, მშვიდად მომისმინე.

ბარბარე: კარგი, თქვი.

ანო: თუ ექოზე არ წავა, თუ ექიმთან არ წავა, პანდემიაა და პარიზში ვერ გაფრინდება, თუ აქ არავის ეტყვის და მუცელს არ გააჭრევინებს, მშობიარობის დრო რომ მოვა, ანუ ცხრა თვე რომ გავა თავისი გამოთვლებით, ბავშვის გაჩენა როგორ წარმოუდგენია?

ბარბარე: მშობიარობის დრო! ღმერთო! საღამოს ლექცია მაქვს და მინდა, ერთი საათი მაინც დავისვენო. ან, შუალედში იქნებ თავიც მოვიკლა, წავედი!

ანო: ნუ მანერვიულებ!

ბარბარე: ჩემზე ნუ იდარდებ. მთავარი, როგორც ყოველთვის, ირაკლია. **(მიდის)**

ანო: მთავარი შენთვისაც ირაკლია, ქალბატონო ბაბეტა ომში მიდის.

ირაკლის ბინა. ისმის მუსიკა. ბარბარე ზის კომპიუტერთან, მონიტორზე ჩანს ძველი თბილისის ფოტოები. მერე ბარბარე საკერავ მანქანასთან ჯდება. პარალელურად, ირაკლი ანტრესოლზე დადის, წვება, მობილურზე ლაპარაკობს, მუცელზე ხელს ისვამს, წყალს სვამს, თანმიმდევრობით შემოდიან ლაბორანტები ხალათებში. კურიერები, მოაქვთ საჭმელი, მედიკამენტები, ფუთები, ირაკლი ხსნის, არის ხან ბავშვის ტანსაცმელი, ხან წამლები, საჭმელი, რიგრიგობით ჩანან ვაჟა, ნინო, ანო. ისმის მათი ხმოვანი შეტყობინებები. იქმნება დროის სვლის ეფექტი.

ნინო: ირაკლის რამე ფიბრომატული ხომ არ დაემართა? სულ მუცელზე აქვს ხელები, ალბათ სტკივა. მუცლის ღრუ უნდა გამოიკვლიოს. მე კი ვცდილობ დალაპარაკებას, მაგრამ თავიდან მიცილებს. ვარჯიში მაინც დაიწყოს, თავისთვის, სახლში, იქნებ შენ ურჩიო, ბარბარე. ნეტა ეს კორონა როდის მოისპობა, ღმერთო!

ვაჟა: ხასიათი შეეცვალა იკას, აღარ ოხუნჯობს თითქოს, თუ მეჩვენება? იმ ირინას არ ახსენებს. თქვენ ისევ ერთად ცხოვრობთ... შენი წყენინება კი არ მინდა, მაგრამ ისეთი რა გითხრა, რომ შეურიგდი? ბარბარე, რატომ აკლავ თავს? ვითომ ბედნიერი ხარ? ჩემი იმედი შეგიძლია ყოველთვის გქონდეს. ნებისმიერ დროს დამირეკე, მომწერე.

ანო: არაფერი საიმედო? ღმერთო, რამდენი დარჩა? რას ამბობს, ახლა რომელ თვეშია?

ირაკლი ზის სავარძელში, დიდი მუცლით, გიტარაზე აჩხაკუნებს, ბარბარე კერავს.

ისმის რეკლამა ტელევიზორიდან:

„გთავაზობთ ტანსაცმელს კაცებისთვის და ქალბატონებისთვის.“

ირაკლი: რა ქალბატონი! ქალი რატომ განდევნეს ქართული ენიდან? მართლა რატომ გახდა ქალის თქმა სირცხვილი? **(ბარბარე დუმს)** ბარბარე, არ მისმენ?

ბარბარე: იმიტომ, რომ სირცხვილია იყო მხოლოდ ქალი, რამე ტიტული გჭირდება. იქმნება ახალი ქართული ანტიქალური ცნობიერება.

ირაკლი: ახურებ! შენი ფემინიზმი კი არ უნდა ჩააკვეტო. უბრალო მაგალითები უნდა მოიყვანო, მაგალითად, *„ქალი კი არა მზეი ხარ, მზეი!“* იქნება *„ქალბატონი კი არა, მზეი ხარ“.* კარიკატურაა, აბა რა! ქალი გახადეს უცენზურო სიტყვა.

ბარბარე: მხოლოდ ფემინიზმზე კი არ არის, ქვეყანაში ენის შეგრძნება დაიკარგა. გუშინ ვიღაც გამოვიდა და თქვა, დარწმუნებული ვარ, ქართულ სიტყვას გარდაცვალება არ უწერიაო. **(იცინიან)**

ირაკლი: არც ცხონებაო? **(მღერის)** *აღრეულია ქვეყანა, უფრო და უფრო იღრევა...*

ირაკლი: ეგ მართალია. (**ბარბარესთან მიდის**) ბარბარუკა, ქალბატონო ბარბი, მოდი, დაანებე მაგას თავი. ჩამეხუტე! **(ზურგიდან ეხვევა. ბარბარე დგება, ტახტზე სხდებიან,**

ბარბარე ირაკლის ხელს იცილებს.) რამხელა გავხდი... გუშინ სტუდიაში ვიყავი. გადაირია ვაჟა, მაგრამ ვეუბნები, რომ პანდემიის ბრალია.

ბარბარე: ჰოოოოო... ეგ ისედაც იციან.

ირაკლი: ბარბარუკა, მეშინია... მაგრამ მე ბოლომდე მივიყვან, გავაჩენ ამ ბავშვს. ახლა ვხვდები, როგორი უმწეო იქნებოდი. შენ აქ მარტო, მე იქ. რატომ არაფერი მითხარი?

ბარბარე: ჩამოხვიდოდი?

ირაკლი: როგორ ჩამოვიდოდი, რას ამბობ, მაგრამ რამეს მოვახერხებდი.

ბარბარე: ხომ ხედავ! ვინ გყავდა მაშინ?

ირაკლი: ბარბარე, ბარბარა, კარგი, რა! რით ვერ მოიშალე! **(ცდილობს აკოცოს, ბარბარე იშორებს.)** ნუ გეშინია, არ დაგდორბლავ. **(იცინის)** იცი, რა მახსენდება ხოლმე სულ? „ხეიბარი თოჯინა“

და დღეები მიდიან ულაჟვარდოთ, მოწყენით.
ყელეჟვნიანი ტრამვაი გარბის.
„გაჩერებასთან დედა-შვილი,
ორივ ლამაზი, ახალგაზრდა,
ორივ ქალი, ფურ-დეკეული,
ერთმანეთს ეკვრიან,
როგორც ორი ფოთოლი ქარში.
” რაც ეს მარტი დაიწყო, არ გამოსულა ერთი კარგი დღე”.
გამოუცნობია ამათი ლტოლვა,
ერთმანეთში რომ მიიწევენ,
თითქოს უნდათ გაიხსენონ,
თითქოს ვერა და ვერ დაუვიწყნიათ,
რომ ოდესღაც ერთ სხეულ იყვნენ.“

ბარბარე: ბესიკ ხარანაული?

ირაკლი: ჰო, მაგიჟებს, როგორ დაწერა, რა მუსიკა ესმის, რა მელოდია, რა გული აქვს ამისთანა, კაცი ამ სიტყვებით რომ მღერის, ჰა, ბარბი?

„თითქოს ვერა და ვერ დაუვიწყნიათ,

რომ ოდესღაც ერთ სხეულ იყვნენ.

ორი ფური სიცივეში...

ბარბარე: საწერი მაქვს, ირა.

ირაკლი: დამელაპარაკე, ბარბი. ისიც ვიფიქრე... მინდა... იქნებ, ჯობდეს შენ ისე მოიქცე, ვითომ ორსულად ხარ. აბა მე ხომ ვერ ვიტყვი, რომ ბავშვი მე გავაჩინე, შემჭამენ სვავები. რა უნდა ვთქვათ, საიდან მოვიდა ბავშვი?

ბარბარე: **(გულგრილად)** და მე რომ გინეკოლოგთან არ დავდივარ და არც აღრიცხვაზე ვარ? თანაც ამ გაგანია კორონას დროს. და ისინი რას გეუბნებიან?

ირაკლი: ამბობენ, რომ ქსელი ფართოვდება, უფრო და უფრო მეტ კაცს აქვს დედობის სურვილი, მათაც უნდათ, ბავშვი 9 თვე მუცლით ატარონ. კაცსაც აქვს უფლება, როცა უნდა, მაშინ გააჩინოს შვილი და რადგან მუცლით ატარებს, მეტი უფლება მიენიჭოს. „ქალი დედაა და ბავშვი მისია“ - დრო დამთავრდება. 9 თვე მუცლით ატარა და გააჩინა და ამიტომ მამაზე მეტია, ეგ დრო წავიდა! კაცს მოუნდა და გააჩინა შვილი, მორჩა! თვითონ გაზრდის, თვითონ მიხედავს, ქალი დონორია, ერთადერთი პასუხისმგებელი მამაა. სუროგატი დედები ხომ არსებობენ და რა პრობლემაა? ის გაჩენილი ბავშვი ხომ მშობლებისაა. სპერმის ბანკიც არსებობს, და ასე გაჩენილი ბავშვი ქალისაა. ახლა შეიქმნება ქალი-დონორების ბაზაც. ქალები გასცემენ თავის უჯრედებს. მოდი, ხელი დამადე, ნახე, მირტყამს.

ბარბარე: ირაკლი! გთხოვ! **(ცდილობს, თავი ხელში აიყვანოს)**

ირაკლი: ეს აფეთქებული პანდემია, თორემ... ვინ იფიქრებდა, რომ ცას ჩაკეტავდნენ,

ბარბარე: გოდარს ეკონტაქტები? იცის?

ირაკლი: გოდარი ფილმზე გადაირია, შენც ძალიან კარგი იყავი, აპოგეურად ბუნებრივი... ფიტულივით იდექი. მაგ როლს არ სჭირდებოდა პროფესიონალი, რა იყო მანდ სათამაშო.

ბარბარე: ირაკლი მეთქი! რას მეუბნები, რომ უნიჭო ვარ? მამცირებ?

ირაკლი: არა, არა, ჩემო ბარბი, ეგ რა შუაშია? შენ რომ არა, ვერ გადავიტანდი! ეს კორონა! ხვალ ლაბორატორია მოვა, სისხლს ავიღებ.

ბარბარე: ექოსკოპია?

ირაკლი: არ არის საჭირო. მოდი, ხელი დამადე..

ბარბარე: საწერი მაქვს, ხომ იცი. მინდა, ვიდეო არხი გავაკეთო.

ირაკლი: ბარბი, სულ ზიხარ, არ შეიძლება

ბარბარე: შენ გგონია, რომ ტყუილად ვწერ.

ირაკლი: პირიქით, მინდა დიდ პაპა ჯეიკობზე დაწერო.

(ბარბარეს ეხუტება. ბარბარე თვალებს ზევით აღაპყრობს. ირაკლი დგება, თაროდან წიგნს იღებს და ბარბარეს აწვდის)

აი, ეს დიდი პაპა ჯეიკობის, ანუ იაკობის ჩანაწერებია. პაპა ჯორჯის შვილმა, ჯეიკობ ჯუნიორმა ჩამოიტანა აქ გამოსაცემად. ამ ჩანაწერებს პაპა ჯორჯმა თავისი მოგონებებიც მიამატა. ჯეიკობ ჯუნიორმა იმდენი ფული დამიტოვა, რომ წიგნის გამოცემას კი არა, ბინაზეც მეყო. ეს ბინა იმ ფულით ვიყიდე. მარიკამ დღემდე არ იცის ეს ამბავი. მოვატყუე, ათასი სისულელე მოვბოდე. მერე, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს შვილი გავყიდე და ის ფული ამაში ავიღე, მაგრამ მახსენდებოდა ხოლმე, რომ წიგნის გამოსაცემად ფულს ისედაც მომცემდნენ, ალბათ ფასები ეგონათ აქ ამერიკული. თავს ვიმშვიდებდი. მაშინ სულ რაღაც ორმოცი ცალი დაბაბეჭდინე. იმ დროს ვინ წაიკითხავდა, სულს ვღაფავდით. გეხვეწები, პაპა ჯეიკობზე დაწერე.

ბარბარე: როდიდან ფიქრობ, რომ რამე ფასეულს ვაკეთებ?

ირაკლი: კარგი, რა! ბარბიკო!

ბარბარე: შენ გგონია, ვიცი, ვინ არის პაპა ჯორჯი? ან დიდი პაპა ჯეიკობი?

ირაკლი: როგორ არ იცი, ნუ ჭედავ ახლა. ნიკუშა მაგათ წაიყვანეს. უფრო სწორად, ჩემი მტერი წაიყვანონ მაგათ. მარიკას დიდი პაპას ძმა იყო დიდი პაპა ჯეიკობი. იაკობი თბილისის უნივერსიტეტში ასწავლიდა ქიმიას, განათლებული კაცი იყო, ვენის და ჰუმბოლდტის უნივერსიტეტებში ნასწავლი, უნივერსიტეტის დაარსებაშიც თავისი წვლილი შეიტანა. 1921 წელს წავიდნენ ემიგრაციაში. იაკობს ამერიკელი ცოლი ჰყავდა, მარგარეტი, მარგო, მარგუა, ქალთა სასწავლებელში ინგლისურს ასწავლდა. ჯერ კონსტანტიპოლოლში გადავიდნენ, იქ ქართველ დევნილებს ეხმარებოდნენ, იქიდან კი პარიზში წავიდნენ. გრიგოლ ვეშაპელის მკვლელობა რომ მოხდა, ევროპაში აღარ გაჩერდნენ და წავიდნენ ამერიკაში. იაკობი ამბობდა, რუსეთის დაზვერვა დასდევს ქართველ ემიგრანტებს და არ მოისვენებს, ვიდრე ერთმანეთს არ დაახოცვინებსო.

ბარბარე: მართალიც იყო.

ირაკლი: კი. და ამიტომ დასახლდნენ ნიუ-იორკში და გვარი შეიცვალეს. იაკობი გახდა ჯეიკობ უაითჯორჯი - იაკობ თეთრი გიორგი. ჯეიკობ უაითჯორჯის შვილია პაპა ჯორჯი - გიორგი უაითჯორჯი - გიორგი თეთრი გიორგი. მისმა შვილმა, ჯეიკობ უმცროსმა წაიყვანა ნიკუშა. მაშინ ჩამოიტანა ეგ ჩანაწერები. 1921 -ში წითლები რომ შემოვიდნენ, პაპა ჯორჯი გაიპარა ომში, ლამის ბავშვი, გიმნაზისტი. თავისი თვალით აქვს ნანახი თებერვლის ამბები. არის კიდევ ერთი მაგარი მომენტი - წლების მერე, მაიაკოვსკი რომ ჩავიდა ამერიკაში, პაპას ცოლი წავიდა შეხვედრაზე და იქ დაადგა საბჭოთა დაზვერვა. სრული სიგიჟე, გოგო.

ბარბარე: რას საქმიანობენ? საიდან დააგროვეს ამხელა კაპიტალი?

ირაკლი: ბირთვული ქიმიიდან დიდი ჯეიკობი გადავიდა დიად მშვენიერებაში. ქალის სილამაზე არის აპოგეური მომავლის ბიზნესიო, და დაიწყო ბიო-კოსმეტიკური პროდუქტების დამზადება. ქალები იმსახურებენ სილამაზესო. ესაა ეპოგეური სიყვარული. იშოვა მილიონები თავისი ნიჭით და პატიოსნებით. ამ საქმეს მიყვება მთელი ოჯახი. მარიკაც მაგათთან მუშაობს.

ბარბარე: ნიკუშა?

ირაკლი: ნიკუშა გადაყვა ბოჰემას. დიდი ჯეიკობის ოცნება, დაენახა პარიზი, როგორც თბილისი, ნიკუშამ აახდინა.

ბარბარე: ეგ რას ნიშნავს, რა ფორმულირებაა?

ირაკლი: პაპა ჯეიკობისთვის პარიზი იყო თბილისის დაკარგული მომავალი, ბოჰემური თბილისის სული, ტფილისი მომავალში. რომ არა წითლები, ტფილისში დამყარდებოდა ზე-წმინდა ბოჰემის დიქტატურაო, ასე სწამდა.

ბარბარე: წავიკითხავ ჩანაწერებს და დავდებ ბლოგზე. რამ გაგახსენა ახლა ეს?

ირაკლი: რამ და - ნიკუშაზე ვფიქრობდი და გამახსენდა ჯეიკობი. ჩანაწერებში ათ მცნებაზე წერს, ამ აკრძალვებით ღმერთი აფრთხილებს ადამიანებს მათში ჩაბუდებული მანკიერებების შესახებო. უცნაურია, რომ მამა ღმერთი ათ მცნებაში არ ამბობს, შვილს როგორ უნდა მოექცე.

ბარბარე: რა საინტერესოა მართლა!

ირაკლი: აბა, გოგო! მაგრამ იცი როგორია უძღები შვილის ჯეიკობისეული განმარტება? შვილი, რომელსაც აინტერესებს გარე სამყარო.

ბარბარე: ამიტომ მიდის?

ირაკლი: აბა რა, გოგო, აბა რა! და წასვლა მამასაც ხომ უნდოდა თავის დროზე? მაგრამ ემსახურა მშობლებს. უძღები შვილის დაბრუნება კი დღესასწაულია მამისთვის, რადგან შვილი იმ ამბებს ჩამოიტანს, რაც თავად საკუთარი თვალით ვერ ნახა, არადა, როგორ უნდოდა. უძღები შვილის მოგზაურობა და დაგროვილი გამოცდილება არის მამის განუხორციელებელი ოცნება.

ბარბარე: ძალიან მაგარია.

ირაკლი: არის სხვა მხარეც... მხოლოდ გაწირვა და გაწირვა. აბრაამი წირავს შვილს, მზად არის თავისი ხელით მოკლას, მამა წირავს ძეს, მიუხედავად შვილის ვედრებისა, ამაცილე განსაცდელიო. ღმერთმა თუ კაცი თავის ხატად შექმნა, რა გამოდის?

ბარბარე: ირაკლი, ნუ ფიქრობ ასე, თანაც ქვეყანაში, სადაც უმამოდ შვილის გაჩენა ისეთი სირცხვილია, რომ ქალები ახალშობილებს ახრჩობენ, ნაგავში ყრიან. და რა არის ყველაზე შემზარავი, იცი? დედა მთელი ცხრა თვე ემზადება ამ მკვლელობისთვის. **(დუმილი)** ნიკუშა მოგენატრა?

ირაკლი: მომენატრა.. მამობა მომენატრა.

ღამე. ირაკლის ბინა. ბარბარა კომპიუტერთან ზის. ანტრესოლიდან მძიმედ ჩამოდის ირაკლი.)

ირაკლი: ბარბარა! ბარბარა! ისუნთქე, ღრმად ისუნთქე, ახლა არ უნდა დაიბნე, აი, დრო მოვიდა, დრო, დღეს, წარმოგიდგენია, ბარბარა, დღეს! დაიწყო! ბარბარა!

ბარბარე: **(დაბნეული)** რა? რა დაიწყო?

ირაკლი: მშობიარობა დამეწყო, გოგო, მშობიარობა! დროა. ზუსტად ასე გამოვთვალე.

ბარბარე: რა? რა დროს მშობიარობაა.

ირაკლი: წყლები დავღვარე, ნახე, სულ სველი ვარ.

ბარბარე: რა წყლები, მაგიჟებ? უნდა მომკლა? გული გამიხეთქო?

ირაკლი: სასწრაფოს დაურეკე, გთხოვ!

ბარბარე: რატომ დღეს? მითხარი, რატომ დღეს? ყველაფერი უნდა ჩამამწარო? ხომ იცი, ჩემი ახალი არხის პრეზენტაცია მაქვს, ვემზადები, ვიდეოებს ვწერ...

ირაკლი: რა ვქნა, მე ხომ ვერ ვეტყვი ბავშვს, დაიცადოს.

ირაკლი: არ მიმატოვო, სულ სველი ვარ და მუცელი მტკივა, ვერ გავუძლებ, ბარბარა, მიშველე! რამე მიშველე! **(ტირის)**

ბარბარე: რა გატირებს? ოდესმე მიმიტოვებიხარ? მაგრამ უნდა მიმეტოვებინე, რომ გონზე მოსულიყავი, აქამდე ხომ არ მიხვიდოდი!

ირაკლი: სასწრაფოს დაურეკე, გემუდარები!

ბარბარე: სასწრაფოს? მიდი და შენ დაურეკე. მიდი და უთხარი, ვინ ხარ, უთხარი პირადი ნომერი, და რომ მშობიარობ.

ირაკლი: სასტიკი ხარ და იცოდე, ბავშვს რომ რამე დაემართოს, პასუხს შენ აგებ! არ დაგინდობ, თვალებს ამოგჩიჩქნი!

ბარბარე: ჰო, ვაგებ, როგორ არა! როგორც შენ აგე პასუხი.

ირაკლი: ვიცოდი, ვიცოდი, რომ ბოლოს ამოხეთქავდი! კაცმა რომ გკითხოს, ანგელოზი ხარ, არაფერს იდებ გულში. შენი დედა მოვტყან!

ბარბარე: ნუ ღრიალებ, მეზობლები შემოცვივდებიან.

ირაკლი: ჰოდა, იქნებ მაგათ მომხედონ! **(ტირის)** არ მიმატოვო, გეხვეწები, ბარბარა, გთხოვ! მიყვარხარ, მხოლოდ შენ მიყვარხარ!

ბარბარე: ზემოთ ადი, ირაკლი, აქ რომ მართლა ვიღაცა შემოვიდეს, ასე არ უნდა დაგინახოს, გესმის?

ირაკლი: ჰო, აქამდე ვერავინ შეამჩნია ჩემი ორსულობა და ახლა არ უნდა დავიწვათ.

ბარბარე: ვაიმე, გაჩუმდი, თორემ ფანჯრიდან გადაგაგდებ! ორსულობას ნუ ახსენებ! სულ მკიდია ხალხი! რომ დაებერტყები მიწას, მერე იკივლე!

ირაკლი: ბავშვს უნდა მივხედოთ, ბარბარა!

ბარბარე: ზემოთ ადი მეთქი!

ირაკლი: მეშინია, ბავშვს არაფერი დაემართოს! შენც ამოდი!

ბარბარე: ამოვალ, ადი!

ირაკლი: ღმერთო, რამდენი წყალია!

ბარბარე: ჩუმად, იცოდე!

ირაკლი: მთავარი ბავშვია, ღმერთო! შენ ხომ იცი, რომ მხოლოდ შენი იმედი მაქვს! ეს ბავშვი გადამირჩინე და ამ ალქაჯს მე თვითონ მოვუვლი!

ბარბარე: საიდან მოგდის ამდენი წყალი!

ირაკლი: და სისხლიც! ბავშვი ხომ არ დაიღუპება? მიშველე, ბარბარა!

ბარბარე: იძახე ახლა ბარბარა, ბარბარა! ზემოთ ადი!

ირაკლი: ბარბარა, მართალი ხარ, არ გვინდა სასწრაფო, ჩვენ თვითონ მოვერევით. ყველაფერი ვიცი სახლში მშობიარობაზე. მზად ვარ. იმათაც მითხრეს, მასწავლეს. სტერილურია ყველაფერი, იქ, ზემოთ. მოვამზადე. ჭიპლარს შენ გადაჭრი!

ბარბარე: იმათ რატომ არ ურეკავ? ჩართე ვიდეოზარი!

ირაკლი: გვიანია უკვე, ბარბარა, ვაჩენ, ბავშვი წამოვიდა!

ბარბარე: ვაიმე, ღმერთო, გადამარჩინე! ჩუმად, ირა! ხალხი შემოცვივდება, ჟურნალისტები დაგვადგებიან! ტელევიზია მოვა, ირაკლი, ადი და ამოვალ მეც!

(ირაკლი ზემოთ ძლივს ადის, ისმის კვნესა, ყვირილი. ბარბარე ფანჯრიდან იხედება, მერე კიბეზე ადის. ირაკლი ჩუმდება, დგება სიჩუმე.)

მოკვდი? თვალები გაახილე! ირაკლი! იკა! მოკვდი? ხმა გამეცი! ჩემი გაგიჟება გინდა? ყველაფერს ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი! მე გადმომხედე, ღმერთო, ამას აღარაფერი ეშველება! ვაიმე, თვალები გაახილე! ირა მეთქი, არ მოკვდე! **(ისმის წყლის დასხმის ხმა. ბარბარე კივის. სიჩუმე)**

ირაკლი: **(სუსტად)** ბარბარა! ჩემო ბარბარე! მოხვედი? ნახე? ბავშვი ნახე? გოგოა! ბარბარე, შენს სახელს დავარქმევ, შენზე ძვირფასი ვინ მყავს, იყოს კიდევ ერთი ბარბარე, ბედნიერებას მოგვიტანს. ბავშვების მფარველია, ჩვენს შვილს მფარველობა სჭირდება.

ბარბარე: არანაირი ბავშვი არ არის. დამშვიდდი. ბავშვი არ დაბადებულა. **(პაუზა. ისმის ტირილის ხმა.)**

ირაკლი: რას ნიშნავს, არ არის? აქ არ იყო? ხომ გაჩნდა? არ ტიროდა? ვის გაატანე? ზემოთ იმიტომ ამომიშვი, რომ არ დამენახა, ვის გაატანე? მოგკლავ, არ შეგარჩენ! არ გაცოცხლებ, ბარბარა, გამოგფატრავ! ღმერთო! **(ისტერიულად ტირის)**

ბარბარე: ირაკლი, ჩემო საყვარელო, ჩემო ბიჭო, ახლა ადექი და აბაზანაში შედი. მე მოგეხმარები. ადექი, არ იტირო. აქ ვარ. ბავშვი არ დაბადებულა. ბავშვი არ არის, არ დაბადებულა, არა. არ ატირო.

ირაკლი: **(ყვირილით)** ბარბარე, ვერ გავაჩინე? თუ მოკვდა? მოკვდა? მითხარი, მოკვდა? მკვდარი მაინც დამანახე. ბარბარე! თუ ვერ გავაჩინე? სად არის ჩემი შვილი? **(ტირის)**

სცენა გაყოფილია ორ ნაწილად. ერთი ნაწილი აჩვენებს ირაკლის ბინას, მეორე ბარბარას ბინას. ბარბარე ზის კომპიუტერთან, ირაკლი მეორე სართულზე, ლეპტოპთან. ბარბარესთან მოდის ხოლმე ანო, ირაკლისთან ვაჟა და ნინო.

მონიტორზე ჩანს ძველი თბილისის ფოტოები.

სცენაზე არიან ნიკუშა პარიზში, და ბარბარე თავის ბინაში.

ნიკუშა: პაპა ჯორჯი 1907 წელს დაიბადა, აქ რომ ჩამოვედი, მოხუცი კი იყო, მაგრამ ნათელი გონება ჰქონდა, მიყვებოდა ათას ამბავს. გიმნაზისტი იყო, როცა ომში გაიპარა. ღამე სიზმარში ყვიროდა. აკვიატებული სიზმარი ჰქონია, მაშინ შესწრებია, როგორ გამოაცხადეს ერთი ჯგუფი დეზერტირებად და დახვრიტეს, სულ

ახალგაზრდები. დახვრეტის წინ თურმე იმდენი უტირიათ! ეს სცენა ელანდებოდა. როცა გავიზარდე, მერე გავიგე. პატარას ამას ხომ არ მეტყოდნენ, არ შემაშინებდნენ დედაჩემივით.

ბარბარა: დედამ შეგაშინა?

ნიკუშა: ჰო. ამერიკაში წასვლა რომ არ მინდოდა, მეუბნებოდა, თბილისში მოკვდებიო. სახე ჰქონდა გაშეშებული. მე მეგონა, რაღაც დავაშავე და მსჯიდნენ. მამა ტიროდა, დედა არა - ყველა გრძნობა ჩაიმარხა, რკინის ქალივით.

ბარბარა: ეგ იმიტომ, რომ შენ არ შეგშინებოდა.

ნიკუშა: ზუსტად მაგის შემეშინდა. დღემდე მგონია, რომ მანდ ვინმე მომკლავს.

მამა მენატრებოდა. თავიდან წერილებს ვწერდი: *აქ ღვინოს არ ვსვამ.*

ბარბარა: არ არის მათი ბრალი.

ნიკუშა: Sure. არავის ბრალი არ არის. უბრალოდ, მე მსხვერპლი ვარ.

ბარბარა: ძალიან კარგი ქართული იცი, ნამდვილი ქართული გამოთქმები. საიდან?

ნიკუშა: პაპა ჯორჯმაც კარგი ქართული იცოდა, ჯეიკობ ჯუნიორმაც, ჩემმა მამობილმაც კარგად იცის ქართული, და ჩემმა და-ძმამაც. ახლა ტელევიზიასაც ვუყურებთ. მანამდე მაგათ სულ ჰქონდათ კონტაქტი ქართველებთან. ქართულ წიგნებს კითხულობდნენ, წიგნები ჩამოქონდათ საქართველოდან, როცა გზები გაიხსნა. მანამდე ემიგრანტებისგან. იცი, რა ლექსებს მასწავლიდა პაპა ჯორჯი?

ბარბარა: მართლა? ლექსებს?

ნიკუშა: მაგალითად, **(ხმას იწვრილებს და გამოთქმით ამბობს)** *"ბიბლიური წყევლა იმათ მიმართ ვინც ბატონი ილია მოგვიკლა"*, ლექსი გივი შაორელისა:

„მასამც რისხავს ღმერთი დაუსაბამო,

ყოვლად წმინდა ღმრთის მშობელი მარია,

და ძე მისი, ქრისტე უკიდეგანო,

პატივდებულ-ცხოველმყოფელ ჯვარია.

წყეულ იყოს ოთხთა პატრიარქთაგან,

ვინც მოგვიკლა ჩვენ ბატონი ილია,

შავი ჭირი არ მოშორდეს კართაგან,

იყვეს შმაგი და გონზე შეშლილია.

ბოლოს ვამბობდით **ამინ**! და პირჯვარს ვიწერდით. ბევრი ლექსი ვიცოდი ზეპირად, ემიგრაციაშია დაწერილი ეს ლექსები.

ბარბარა: ვაიმე, So cute!

ნიკუშა: ჰო, სჯეროდათ, რომ ილიას მკვლელობამ გადაწყვიტა საქართველოს ბედი და ყველაზე დიდი მტერი იყო რუსეთი.

ბარბარა: რა თქმა უნდა, რუსეთი, საკუთარ თავზე გამოცადეს.

ნიკუშა: პაპა ჯენტლმენი იყო, ქალებს აფასებდა, ოტო ჰანის ნობელი გააპროტესტა, თვლიდა, რომ ლაიზა მაიტნერიც იმსახურებდა. ნობელის კომიტეტს და სამეცნიერო აკადემიებს მიწერა წერილები, ლაიზა მაიტნერს იმიტომ არ მიეცით პრემია, რომ ქალიაო? **(იცინიან)** მან ასწავლა ოჯახს პარიზის სიყვარული. მეც მჯერა, რომ ტერორისტი წითლები რომ არა, თბილისი იქნებოდა ისეთი, როგორიც პარიზია.

ბარბარა: პაოლო იაშვილმაც იგივე თქვა, არა პარიზი, არამედ თბილისია მსოფლიო კულტურის ცენტრიო. -კაფე „ინტერნაციონალში“ სკამზე შემდგარს დაუძახია. საოცრად აღწერა პაპა ჯეიკობმა მაშინდელი თბილისი, რამდენ ადამიანს იცნობდა!

ნიკუშა: ყველას! პეტერბურგშიც ხომ ყოფილა პირველი საჯარო კითხვაზე, „ბროდიაჩაია საბაკას“ საღამოზე. 1912 წელი იყო, წარმოიდგინე, ეგ კაფე იყო ანდერგრაუნდი, მიდიოდა ბურჟუაზიის კრიტიკა, გამოდიოდა მაიაკოვსკი!

ბარბარა: აბა! საოცრება! ბოჰემა, ნიჭიერება, თავისუფლება!

ნიკუშა: 1917 წლის რევოლუციის მერე საქართველოში რომ წამოვიდა მთელი ეს გიჟი ხალხი, ნამდვილი საოცრება თბილისში მოხდა. მათ ჩამოიტანეს ინფორმაცია, რა არის რევოლუცია, შიმშილი, გაუნათლებელი მკვლელი მასის დიქტატურა...

ბარბარა: მაინც ვერ აიცილა საქართველომ რევოლუცია. მაინც ვერ წარმოიდგინეს რომანტიკოსმა პოეტებმა ტერორის საშინელება. რევოლუცია ახალი გასართობი ეგონათ, ეგონათ, მუზებს მოუძღოდნენ წინ წითელარმიელები.

ნიკუშა: ტრაგიკული ხალხია.

ბარბარა: რა თქმა უნდა. და იმ დროს რა ხდება თბილისში? რამდენი კაფე, კლუბი, როგორი ბოჰემა, აღმაფრენა, ყველანი ერთიან ხელოვნებას ქმნიან, ფუტურისტები, დადაისტები, კუბისტები... სულ სიახლის ძიება, ექსპერიმენტები, ამდენი ნიჭიერი ადამიანი ერთად!

ნიკუშა: იცი, რომელი კაფე უწერია დიდ პაპას დღიურში? – „ლურჯი გომბეშო”, “არგონავტების ნავი...”

ბარბარა: მანდ ოფიცერთა სახლის გახსნეს, მერე მაღაზია. სარდაფში პანოები და მოხატულობა რაც იყო შემორჩენილი, სულ განადგურდა. ლაღიძის წყლებიც მოსპეს, ისტორიული აფთიაქებიც...

ნიკუშა: Fuck! უვიცები! კლუბი „ფანტასტიკური სამიკიტნო“მიყვარდაო. და ქალებიც როგორი თამამები იყვნენ, არც კაცები ზღუდავდნენ.

ბარბარა: რა თქმა უნდა! იმ ქალების თავისუფლების დღესაც შეგვშურდება. თბილისი პოეტების ქალაქად გამოაცხადეს. რა გულუბრყვილობაა, ალბათ როგორ სჯეროდათ, რომ პოეზია, და ზოგადად, ხელოვნება, უფრო მეტია, ვიდრე ტერორი.

ნიკუშა: მერე რეპრესიებიც დაიწყო. რატომ ერჩიან ხელოვნებას ჩინოვნიკები? ახლა საქართველოს რომ ვუყურებ, აშკარაა, რომ მომავალი გადასარჩენია.

ბარბარა: და აუცილებლად გადარჩება, უნდა ვიბრძოლოთ. ოჯახიდან მხოლოდ შენ ხარ პარიზში?

ნიკუშა: სხვები ვერ ახერხებენ, ამხელა კომპანიას მართვა ხომ უნდა. მე ძალიან გამანებივრეს, უნდათ, რომ საქართველოს დაკარგულ მომავალში ვიცხოვრო. ოღონდ, ოჯახში ნარკოტიკი და სასმელი აკრძალული გვაქვს. სულ ვსწავლობ, სახელოსნოებში დავდივარ, ვმუშაობ, ვკითხულობ და ამერიკაში რომ ჩავდივარ, ჩემს ამბებს დაუსრულებლად ვუყვები. ოჯახში ყველას ჰობი ხელოვნებაა.

ბარბარა: ნიკუშა, მიხარია, რომ ასეთი ბედნიერი ხარ.

ნიკუშა: ბარბარა, იცი როგორი დედობილი და მამობილი მყავს, ან როგორი და-ძმა? ჩემპიონი! We are the champions. Super cool!მათ მასწავლეს ოჯახის სიყვარული. მაგრამ ბედნიერი ვერ იქნება ბავშვი, რომელიც დედა-მამამ მიატოვა.

ბარბარა: მესმის, ნიკუშა... ალბათ ბედიც იყო, ან, არ ვიცი, როგორ ვთქვა... ნიშანი მომავლიდან, რომ ირაკლი პარიზში ნახე, მომავლის თბილისში.

ირაკლის ბინა. ირაკლი ტახტზე ზის. რეკავს მობილური.

ირაკლი: გამარჯობათ.

ჟურნალისტი: ბატონო ირაკლი, თუ შეიძლება, ერთ შეკითხვაზე მიპასუხეთ.

ირაკლი: ვინ ბრძანდებით?

ჟურნალისტი: პირდაპირ ეთერში ვართ, ბატონო ირაკლი, თუ შეიძლება, აგვიხსენით გადაცემა *„ჩვენი ტრავმების“*ჩაწერის დროს მომხდარი ინციდენტი.

ირაკლი: ბატონო? რას მეკითხებით, ვერ გავიგე.

ჟურნალისტი: როგორც ხედავთ, ძვირფასო ტელემაყურებლებო, ბატონი ირაკლი თავს არიდებს შეკითხვებზე პასუხს.

ირაკლი: ვინ ხართ, რა კადრები?

ჟურნალისტი: ბატონო ირაკლი, გავრცელდა კადრები თქვენი მონაწილეობით, სადაც თქვენ ქალივით გაცვიათ და ამტკიცებთ, რომ შვილი გააჩინეთ. ეს ხუმრობაა თუ საზოგადოების დაცინვა?

ირაკლი: **(ფითრდება)** ვინ ხართ...

ჟურნალისტი: ძვირფასო ტელემაყურებლებო, ბატონი ირაკლი ჩვენი გადაცემის შეკითხვებს არ პასუხობს. ბატონო ირაკლი, იქნებ, განმარტოთ, რატომ მიბრძანდით გადაცემაში? იმისთვის, რომ აბუჩად აიგდოთ ის ქალები, რომლებმაც ეს სტრესი გადაიტანეს? შეგახსენებთ, ახლა პირდაპირ ეთერში ხართ. ძვირფასო ტელემაყურებლებო, ახლა თქვენ უსმენთ ყველაზე რეიტინგულ არხს...

ირაკლი: ვინ ხართ...

სხვა ჟურნალისტი:: ბატონო ირაკლი, ახლა გვატყობინებენ, რომ აღშფოთებული მოქალაქეების ნაკადი თქვენი სახლისკენ დაიძრა. ბატონო ირაკლი, რა პასუხს გასცემთ მათ?

ირაკლი: (თიშავს მობილურს) თქვენი წაკლა დედა მოვტყან! **(რეკავს მობილური.)**

ვაჟა: იკა, ვიდეო ჩამიგდეს ჩათლახებმა. რა ხდება? შენ ხარ? ნამდვილად შენ ხარ!

ირაკლი: ჰო, მე ვარ, მე!

ვაჟა: სახლში იჯექი, ესენი სულ გამხეცდნენ.

ირაკლი: სახლში ვარ, კი.

ვაჟა: ფანჯარასთან არ მიხვიდე, კარი არ გააღო, ტელეფონს არ უპასუხო, ვინც გინდა იყოს! ვერ გაიგებ, ვინ ვინაა. მოვდივარ, ბაზარი არ არი.

(რეკავს მობილური.)

ირაკლი: აუ, ნინო, რა!

ნინო: ვიდეო ჩამიგდეს. ვინ გადაიღო? რა სპექტაკლია?

ირაკლი: აუ, ნინო, ნუ დაიწყე!

ნინო: აფეთქდა ჩემი ტელეფონი და მინდა ვიცოდე, რა ვუპასუხო.

ირაკლი: ჰო, ნინო, არაფერი. სხვა დროს გეტყვი.

ნინო: ახლა მითხარი, იკაკო, სახლში მივარდებიან.

ირაკლი: ეს იცი რატომ მოხდა? იმიტომ, რომ დედები ავუფეთქე და ბოიკოტი გამოვუცხადე, როცა ცენტრში ვიღაც ზედამხედველები დანიშნეს უფროსებად და

რკინის ჯებირები დააყენეს. მე რომ ჩემი კინოსტუდია გავაკეთე და მაგათი ბიუჯეტი მკიდია, ეგ აგიჟებთ. ეგენი ფესტივალებზე ოჯახებიანად დაფლატუნობენ და კინოჩვენება ექსკურსიისგან ვერ გაურჩევიათ. ვიდეო კი არა, სულ რომ ტიტუშკები მომისიონ და მომკლან, მათთვის მაინც ბომბი ვიქნები. ნინუც, თუ ვინმე გკითხავს, უთხარი, რომ ხოში მქონდა და მივედი.

ნინო: იკა, ახლავე წამოვალ, ვაჟა გამომივლის! კარი არავის გაუღო!

ირაკლი: არ წამოხვიდე, ვიღაც ნაბიჭვარმა დამირეკა, იმ გამყიდველების არხიდან, მოქალაქეების ნაკადი მოდისო. აღშფოთებულისო. დაურიგეს ახლა კალბასი და არაყი და ზედ დაადეს ხუთლარიანები! ახვარი ნაბიჭვრები!

ნინო: მარტო ვერ დაგტოვებთ, მოვალთ.

ირაკლი: ფრთხილად იყავით. დიდი მადლობა.

(მობილურს იღებს და ნომერს კრეფს.)

ბარბარე, აიღე, გთხოვ, მიპასუხე, ბარბარე!

მომიტინგეთა ხმები ტელევიზორიდან:
აი, რატომ დადიან საფრანგეთში. ახლა ხომ ხედავთ, როგორ რყვნის ევროპა, დასავლეთი. ეს კინორეჟისორი რა პროპაგანდას ეწევა?
აეკრძალოს საქმიანობა საქართველოში! მივცეთ მთავრობას დავალება, მოვითხოვოთ, გაანადგურონ მისი ფილმები!
მას ოჯახიც კი არ ყავს, ბოდიში და, საყვარლებთან ცხოვრობს, და ახლა აბუჩად იგდებს საქართველოში ყველაზე წმინდას - ქალს და დედას.
ჩვენს გვერდით ცხოვრობს უცხო ქვეყნის აგენტი! საინტერესოა, რომელი დაფინანსებით იღებს ის ფილმებს? ან რა ფილმებს იღებს საერთოდ? რა პროპაგანდას ეწევა საქართველოში? აშკარაა, რომ ის ქართველი კაცის დაკნინებას ცდილობს!

იმ ქალბატონს პრიზი კი მისცეს, მაგრამ რა გამოდის, ვინ აჩვენეს მსოფლიოს? ლამაზი ქალბატონები დაილია საქართველოში?
დაფინანსების წყაროები გვიჩვენოს, ვინ აფინანსებს ასეთ ფილმებს?
ქართველი კაცი არასოდეს გახდება ცოლი! გაუმარჯოს საქართველოს!

ირაკლის სახლთან ბრბო გროვდება, ბინაში შემოდის ხმაური. რეკავს მობილური.

მსახიობი კაცი: ირაკლი, მეც მომადგნენ, იმ ფილმში რატომ ითამაშე, კაცს რატომ აკოცეო. მაკას ქუჩაში დახვდნენ, რატომ გაიხადე ფილმშიო, ლამის კაბა შემოახიეს.

ირაკლი: რაო? ძველ ფილმებზე გედავებიან? პრიზები რომ ჩამოვზიდეთ ფესტივალებიდან და ფილმი ოსკარზე წარადგინეს, მაშინ ხომ ვიყავით ერის სიამაყე!

ეცადეთ, არავისთან შეხვიდეთ პოლემიკაში, არც სახლიდან გახვიდეთ, უმართავია სიტუაცია, დაგეშეს ტროლ-ბოტები! ბიჭო, ეს რა ხდება? რუსთაველზე ჯარი რა საჭირო იყო? აგერ, ჟურნალისტისთვის თვალი გამოუთხრიათ! მოსახლეობას აშინებენ, მსოფლიოს აჩვენებენ, რომ ქართველები ველურები ვართ, რომ ჩვენთან ჰომოფობია ყვავის, ხელოვნებას ებრძვიან და ქუჩაში მანიაკები დარბიან. როგორც კი ბრძანებას მიიღებენ, მაშინვე დამშვიდდებიან და ეს სტიქიაც ჩაივლის.

(შემოდიან აღელვებული ნინო და ვაჟა)

ნინო: იკა, როგორ ხარ? გირეკავენ ისევ? აქ ხომ არავინ შემოგივარდა?

ვაჟა: ჩვენ უნდა გვითხრა, რა მოხდა, როგორ მოხდა.

ირაკლი: ორი თვის წინ ჩამწერეს. მაგ არხის დირექტორი ჩემი ასისტენტი იყო, ბადრი, პროდიუსერიც მე გამოვზარდე, იქ რომ დაინიშნა, უჩემოდ ნაბიჯს ვერ დგამდა, წაკლა... დამპირდნენ, კადრებს გავანადგურებთო.

ნინო: გამოიყენეს. ასე მუშაობენ, ქვეყანას მართვა ხომ უნდა, საყვარელო.

ხმა ტელევიზორიდან - *სახლში ვისაც რა უნდა ის აკეთოს...*

ვაჟა: (აღშფოთებული წინ და უკან დადის) ამათ უყურე რა! სახლში ვისაც რა უნდა ის აკეთოს, რა პონტია? კი არ ემიჯნები, სირაქლემასავით ხარ თავჩაყოფილი, ვითომ ვერ ხედავ, ან არ იცი, რა რეაქცია უნდა გქონდეს, თუ სხვამ არ გიკარნახა?

ნინო: ვაშა-კაცებს ვეძახი მე მაგათ. ვაშას რომ ყვირიან მხოლოდ, როგორც კომუნისტური ლოზუნგებზე იყო სავალდებულო.

ვაჟა: ბაზარი არ არი, ეგრეა. აი, წარმოიდგინე - რას ქვია, სახლში აკეთოს. რასაც ემიჯნები და მიუღებელია, სახლში რომ აკეთებენ, არა უშავს? ტაშს უკრავ?

ნინო: ჰო, მაგალითად, ცემა, მკვლელობა - რომ გაიგებ, შენმა მეზობელმა თავის სახლში ვიღაც მოკლა, სახლში აკეთოს, არაფერიაო, ამბობ? თავის ძაღლს თუ აწამებს, ბავშვს ცემს, სარდაფში ჩაკეტავს, ცოლს მოკლავს, ვიტყვით, სახლში ვისაც რა უნდა ის აკეთოს? ყველაფრის ლიცენზიას აძლევენ, მთავარია, დამალონ, გარეთ არ გამოიტანონ და ყველაფრის უფლება აქვთ?

ვაჟა: ბაზარი არ არი. ამიტომაც ხდება ამდენი ძალადობა ბავშვებზე, ქალებზე...

ირაკლი: მგონი, აჯობებს, თუ გავალ და ინტერვიუს მივცემ.

ვაჟა: არანაირი ინტერვიუ! ახლა არ გადამრიო! რას ფიქრობდი, იქ რომ იჯექი და ქალად ასაღებდი თავს! ისტერიკა დაიმართე, შენი ხმა მთელმა წილხვედრმა იცნო,

ბავშვი სახლში გავაჩინე და დაიღუპაო! მერე ისე შეხვედი როლებში, რომ ტირილისგან მთელი გრიმი მოგძვრა! შეგჭამს წილხვედრი, ძვლებსაც არ დაგიტოვებს, ბაზარი არ არი! ქართველი კაცი რომ ამას აკეთებ, ვინ გაპატიებს! იკა, უნდა გაიქცე, იქნებ ფრანგებმა გაგიხერხონ რამე. ნინო, სასწრაფოდ დაელაპარაკე, კითხე, პოლიტიკურზე ვერ იჩალიჩებენ?! საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩავრთოთ, პენ ჯორჯიამ წერილი გაამზადოს...

(ტელევიზიით აცხადებენ, რომ პარლამენტთან რკინის ჯვარი მიაქვთ, ისმის ანტიევროპელი მომიტინგეების ხმა.)

ნინო: რა ხდება, ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს, დაწვეს! ეს რა რკინაა! წმინდა ადგილებს, წმინდა სიმბოლოებს მნიშვნელობა დაუკარგეს, რელიგიით სპეკულირებენ, ეკლესია პოლიტიკური პარტია გახადეს. ღმერთო, დაგვიფარე! **(პირჯვარს იწერს.)** მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან, რას სჩადიან.

ვაჟა: გადასარევად იციან, ბაზარი არ არის. ვისი სათარეშო გახდა საქართველო!

ნინო: ჩვენ ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში მივიღეთ და ამით ვამაყობთ! არასოდეს ვყოფილვართ ჩამორჩენილი ქვეყანა, ესენი კი რას აკეთებენ, მომავლის წინააღმდეგ მიდიან?

ირაკლი: ეს ვის აწყობს, კარგად ვიცით! იმ გაურკვეველ წარსულში ვერ დავბრუნდებით, როცა საქართველო ბიზნეს წილებად დაინაწილეს. ინტერვიუს მივცემ. პოლიციაც ფორმალურად დგას, ვითომ მიცავენ, მკვლელები რომ შემომივარდნენ, ხელს არ გაანძრევენ.

ვაჟა: ინტერვიუზე არც იფიქრო. კიდევ ერთი სკანდალი არ გვჭირდება.

ხმა გარედან, ლაპარაკობს მიტინგზე გამომსვლელი: *ხვალ ძალიან სახიფათო დღეა, შეიძლება იყოს მსხვერპლი, კიდევ ერთხელ ვაანონსებ.*

ბარბარეს ბინა. ბარბარე ტელევიზორს უყურებს. აჩვენებენ არეულობას რუსთაველზე. ირაკლის სახლთან ისევ ბრბოა. რეკავს მესინჯერი. მარიკა, ირაკლის ყოფილი ცოლი. ბარბარე ყოყმანობს, უპასუხოს თუ არა. ბოლოს მაინც პასუხობს.

მარიკა: ბარბარე, გამარჯობა.

ბარბარე: **(დაბნეული)** გამარჯობათ, მარიკა.

მარიკა: ბარბარე... ბარბარა... ალბათ ხვდები, ძალიან რომ არ მიჭირდეს, არ დაგირეკავდი, ვერ გავბედავდი. წუხელ ის ბრბო არ დაშლილა, მთელი ღამე იქ იყვნენ, კიდევ კარგი, იკა მარტო არ არის, ვაჟა და ნინო არიან....

ბოდიში, შენობით რომ გელაპარაკები. ახლა ირაკლი საშინელ განსაცდელშია და მხოლოდ შენ შეგიძლია დახმარება. მე ასე მგონია... მაპატიე.

ბარბარე: მარიკა, არ მინდა გაწყენინოთ...

მარიკა: მესმის, ბარბარე, ალბათ საშინლად მოგექცა, გული გატკინა, მაგრამ...

ბარბარე: „მაგრამ“ ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე.... მესმის, მარიკა, რომ ირაკლი ჩემგან ითხოვს დახმარებას, მაგრამ არ შემიძლია.

მარიკა: გთხოვ...

ბარბარე: (აღელვებული) რატომ პატრონობთ დღემდე? ეგ თვლის, რომ ყველას ყურადღებას იმსახურებს, არანაირი პასუხისმგებლობა არ აქვს...

მარიკა: მაგრამ ახლა ექსტრემალური მდგომარეობა შეიქმნა. ის ვიდეო ვნახე. შემოქმედი ადამიანის გაგება რთულია, თან ირაკლი როდის ყოფილა ჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ... როგორ ტირის... მესმის ექსპერიმენტი, მაგრამ არის რაღაც, სახელს ვერ ვარქმევ, რაც ძალიან მაშინებს.

ბარბარე: ვიდეო არ მინახავს და არასოდეს ვნახავ. ვაჟაც მირეკავს, ნინოც, მაგრამ მე მასთან ურთიერთობა არ შემიძლია, რატომ არავის ესმის. არც თქვენ უნდა ნერვიულობდეთ ასე. არ იმსახურებს... თქვენგან...

მარიკა: ვხვდები, რასაც ამბობ. მაგრამ მე და ირაკლის იმდენი რამ გვაკავშირებს. იცი რა ბიჭი იყო ირაკლი? ყველასგან გამოირჩეოდა, ყველაფერი აინტერესებდა - კინო, მუსიკა, თეატრი. მასთან სიცოცხლე დუღდა. ნიკუშაც მასავით ნიჭიერია.

მეც არა მიშავდა, არც უშნო ვიყავი და არც უნიჭო. ირაკლის მშობლები, თვითონ ჰუმანიტარები, ამბობდნენ, მომავალი ტექნოლოგიებისაო, და აგერ, კი ვხედავთ, რომ მართლებიც გამოდგნენ. მათი დიდი წვლილია იმაში, რომ მე დღეს ქიმიკოსი ვარ. ღმერთო, გაანათლე! ამერიკაში ქიმიკოსად ვმუშაობ პაპას პარფიუმერიაში, ალბათ გეცოდინება. არ ვიცი, ირაკლი რამეს თუ გიყვება ჩემზე...

ბარბარე: თითქმის არაფერს.

მარიკა: ჰო, ეგ ასეთია. რას ვამბობდი - გამიმართლა, რომ აქ მოვხვდი და ეს სპეციალობა მაქვს, თუ ჩემ ცხოვრებას საერთოდ გამართლება შეიძლება დავარქვა. ფილმის დაფინანსების გამოძიებას აპირებენ... ჩემი დაფინანსებულია...

ბარბარე: არ ვიცოდი...

მარიკა: ჰო, რად მინდა მე ამდენი ფული, სულ მარტო ვარ... აქ ნიკუშას გამო ჩამოვედი. შენც იცი, რა დრო იყო - 90-იანები. ზამთარში ყველა ერთად

ვცხოვრობდით სამზარეულოში, ნავთის ქურას დამხობილები. რა არ ვნახეთ - საქმის გარჩევები, მკვლელობები, გაჭირვება. ირაკლის ყოველ გასვლაზე შიში მკლავდა, გარედან შემოსულს ძაღლივით ვყნოსავდი, ჯიბეებს ვუქექავდი, მეშინოდა, ნარკოტიკები ან იარაღი არ აეღო ხელში. აფხაზეთში რომ წავიდა, მე ერთ ადგილას ვიჯექი და ყურები მიწუოდა. აფხაზეთის მერე დაეწყო უმძიმესი დეპრესია, არც ლაპარაკობდა, არც ეძინა. არაფერი მოუყოლია?

ბარბარე: ბევრი არაფერი.

მარიკა: მისი ბავშვობის მეგობრებიდან, ბევრი ცოცხალი აღარ არის, ზოგი მოკლეს, ზოგი ნარკოტიკებს შეეწირა, ზოგი ლოთობას, მაგრამ ვინც გადარჩა, ყველა მდიდარია.

ბარბარე: მესმის....

მარიკა: მაშინ ჩვენი შურდათ, რომ მოვახერხეთ ბავშვის ამერიკაში გაგზავნა, ჩვენ კი ყველაზე უბედურები ვიყავით. ირაკლი აეროპორტიდან გაიქცა და სამი თვე არ ვიცოდით, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. ალბათ დარწმუნებულია, რომ შვილი არ მიყვარს... მაშინ ასე მითხრა.

ბარბარე: არა მგონია, ასე იფიქროს.

მარიკა: იკას მეორე ბავშვი უნდოდა, მაგრამ მე გაჩენაზე უარი ვთქვი. რა გამოდიოდა? ნიკუშას ასე ჩავანაცვლებდი? ირაკლიმ მეორე შვილზე რომ დაიწყო ლაპარაკი, მას მერე ერთად აღარ ვწოლილვართ, სექსი საერთოდ აღარ შემეძლო, და დღესაც ვერც ვხვდები, რა საჭიროა.

ბარბარე: მესმის...

მარიკა: **(მძიმედ)** აქ რომ ჩამოვედი, ამერიკაში, მეგონა, შვილთან მოვდიოდი... ნიკუშამ ზედ არ შემომხედა. მამშვიდებდნენ, დრო გავა და შეიცვლებაო, მაგრამ ფსიქოლოგისთვის უთქვამს, გაბრაზებული ვარ დედაზე და არასოდეს არ დაველაპარაკებიო. და არც დამლაპარაკებია. წარმოგიდგენია, ბარბარე? ღამით მასთან შევდიოდი, მინდოდა მძინარეს ჩავხუტებოდი, ის კი დედობილთან გარბოდა. როგორ უნდა შეძლოს ბავშვმა, დედა გულიდან ამოიღოს? ვთქვათ, მაშინ პატარა იყო, ახლა მაინც ვერ ხვდება ჩვენს მდგომარეობას? დედას კი არა, ქმარს ვპატიობ ყველაფერს... ყოფილ ქმარს.

შენი ორსულობის ამბავიც ვიცი. შენ რომ გგონია, საიდუმლო გაქვს, ქვეყანა მაინც გაიგებს... ის ბავშვი, არა მხოლოდ შენთვის, ჩემთვისაც დიდი შვება იქნებოდა, დამიჯერე, გულწრფელად ვამბობ.

ბარბარე: არ ვიცოდი...

მარიკა: ირაკლიმ რთული ცხოვრება გამოიარა, დღეს კი ვინ ჰყავს გვერდით? არავინ!

ბარბარე: ირაკლი მარტო არ დარჩება, ქალების ტალღა მიაწყდებოდა უკვე...

მარიკა: გული ცუდს მიგრძნობს, ასე მგონია, ხელში რომ ჩაუვარდეს იმ ხროვას, ცემით მოკლავენ. ძალიან მეშინია.

ბარბარე: მეც მეშინია. მაგრამ იქ ვერ წავალ.

მარიკა: კარგი, ბარბარე. მე არ გაძალებ. დიდი მადლობა, რომ მომისმინე. ნახვამდის.

ბარბარე: ნახვამდის. დამირეკეთ, როცა გინდათ.

მარიკა: დიდი მადლობა, ძვირფასო.

(ბარბარესთან ირეკება ზარი. ბარბარე კარს აღებს. შემორბის ანო)

ანო: (პანიკაში) რა ხდება? რა უნდათ ირაკლისგან? იმის გამოა? რეალური ვიდეოა?

ბარბარე: რეალური იქნება. დიდ შარშია. ამას როგორ გამოიყენებენ, ხომ იცი.

ანო: უკვე დაესივნენ ტურებივით.

(რეკავს მობილური. ბარბარე არ პასუხობს.)

ანო: ის არის? არ პასუხობ?

ბარბარე: ჰო, ის არის, იქ მისვლას მთხოვს. არ შემიძლია ახლა ირაკლის დანახვა.

ანო: ბარბი, მეშინია, აქაც არ მოვიდნენ. არაკაცები. ფანჯარასთან არ მიხვიდე.

ბარბარე: ფანჯარასთან მისვლის და გარეთ გახედვის ისედაც მეშინია, მხოლოდ დღეს კი არა, საერთოდ. მეილი რომ მომდის, ერთი კვირა ვემზადები გასახსნელად. სულ ცუდის მოლოდინში ვარ. გარეთ დავდივარ, ხალხს სახეში ვაშტერდები, ვამოწმებ, ხომ არავინ მერჩის. მიხარია, როცა ვხედავ, რომ ყველას ფეხებზე ვკიდივარ. ალბათ დადგება დღე, როცა სახლიდან საერთოდ ვერ გავალ, რაღაც მაშინებს. ვხვდები, რატომ არის ქალი კერიასთან მჯდომი და ბავშვების მომვლელი - ქალს გარე სამყაროს შიში აქვს. კაცი გარე სამყაროსთან აკავშირებს და გარე სამყაროსგან იცავს.

ანო: არა, ასე არ არის. შენ გგონია ასე, ახლა შეშინებული და დასტრესილი ხარ.

ბარბარე: ახლა ალბათ გამიმწვავდა, მაგრამ მე სულ ასე ვიყავი. ალბათ მართლა უზარმაზარი უფსკრულია ქალსა და კაცს შორის და შეუძლებელია ერთმანეთის გაგება, თანაცხოვრება ხომ საერთოდ წარმოუდგენელი. ერთადერთი ჭეშმარიტი სიყვარული მხოლოდ უანგარო სიყვარულია, დედისა და ჩვილის პირველი შეხება, ვიდრე ბავშვი ანგელოზია და უმანკო. მერე ყველაფერი ვალდებულება ხდება. ეს სიყვარული ამიტომაცაა საკრალიზებული ყველა კულტურაში, რელიგიის დონეზე

აყვანილი და დღემდე ამიტომ სცემენ თაყვანს ჩვილისა და დედის ხატს. მართლა საკრალური ხატია, სიწმინდის ნიმუში. სხვა არაფერი არსებობს წმინდა. იქნებ, კაცობრიობის მომავალი მართლა მარტოობაა, რეალური მარტოობა, როცა გამრავლების თუ მარტოობის შიშის გამოც კი არ ხარ იძულებული ვინმეს შეეკრა და მერე მთელი ცხოვრება მასთან ჭიდილში გაატარო?

ანო: არა, ბარბი...

ბარბარე: უნდა წავიდე, ანო. უნდა წავიდე. ახლა ვერ მივატოვებ. და საერთოდ, ეს მხოლოდ ირაკლის არ ეხება. ეს ყველას ომია. **(გადიან)**

ირაკლის ბინა, გარედან ისმის გარეთ შეკრებილი ადამიანების საზარელი ყვირილი.

"პირველ რიგში, ჟურნალისტები არიან დამნაშავეები, რომლებიც ეწევიან ჩვენი შვილების მიმართ პროპაგანდას, როცა ეწევი უბინძურეს ცოდვას, შეიძლება მოიმკო ხალხისგან რისხვა."

„ტელევიზიები არიან ჩვენი ქვეყნის მტრობაში, არიან თანამონაწილეები და აუცილებელია მათი ბოროტი საქმის წინ აღდგომა, მედია არის ჩვენს მტრობაში.."

ჩინოვნიკის ხმა ტელევიზორიდან: *კინოსტუდია სამიკიტნო არ არის, ქვეყანა დუქანი არ არის. როცა ქვეყნის სახელით იღებ ფილმს, ის უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო პოლიტიკას, რათა უკეთ წარმოაჩინო ქვეყანა. გამოვიკვლევთ დაფინანსების წყაროებსაც. სახელმწიფო დუქანი არ არის, ტელევიზია სამიკიტნო არ არის, რომ მიდიხარ და იქ ჯდები და იღებ გადაცემაში მონაწილეობას, უნდა იყო შესაბამის ფორმაში, ისე, რომ არ შეულახო რეპუტაცია საკუთარ თავს, ქვეყანას. როცა ტელევიზია დაფინანსებას იღებს გადაცემაში, ის გადაცემა უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს და ხალხის ინტერესებს. სახელმწიფოს მცირე, მაგრამ მაინც აქვს ბერკეტი, გამოასწოროს ჟურნალისტის, ტელევიზიის და რესპონდენტის შეცდომები.*

ნინო: (აღშფოთებული) და რას აკეთებს ხელისუფლება? რაც ერი, ის ბერიო, დაგვძახის. ჩვენ კი ვართ ცუდები, მაგრამ იმიტომ, რომ თქვენ არ იმსახურებთ მეტსო. და ხალხმაც როგორ აიტაცა. მეტს არ ვიმსახურებთო, უხარიათ.

ირაკლი: ეგეც ხელისუფლების პროპაგანდაა. მაგრამ ახალ თაობას საბჭოთა კომსომოლურ- კომუნისტურ მახეში ვეღარ გააბამენ.

ვაჟა: (ცოფდება) ისე, რას ფიქრობდი, როცა ასეთ რამეზე მიდიოდი, ძმაო?

ირაკლი: სკანდალების არ მეშინია. და... ბევრი რამ მაქვს ხალხისთვის სათქმელი.

ვაჟა: რომელი ხალხისთვის? ამათთვის? **(აივანზე მიანიშნებს)**

ირაკლი: ჩემი ხალხისთვის... კაცებისთვის, ქალებისთვის.

ვაჟა: გრუზინებისთვის? ქალის და ბავშვის ცემა რომ ტრადიცია და კაცობა ჰქონიათ?

ირაკლი: ღრუზინებისთვის.

ვაჟა: არ მეხუმრება და არც შენ გეხუმრება. რამე არ გაიჩალიჩო.

ირაკლი: ყველაფრისთვის მოვემზადე. ვიცი, რაც უნდა ვთქვა. ყველაფერს ვაღიარებ.

ვაჟა: ბაზარი არ არი. და შენ გგონია, მე ვიცი, ეგ ყველაფერი რა არის?

ირაკლი: არა, არ იცი. მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცის.

ვაჟა: ვინ?

ირაკლი: შენც იცი.

ნინო: ბარბარემ?

ვაჟა: მოვა, კალთას გადაგაფარებს და დაგმალავს, ჩაგჩქმალავს? რა ვალი აქვს შენი?

ნინო: ხომ იცი, სახლიდან ვერ გახვალ. მოგკლავენ.

ირაკლი: ვინ?

ნინო: სამშობლო.

ირაკლი: რისთვის?

ვაჟა: გეყოფა, და გამარკვიე - გადაწყვეტილი გაქვს, აღიარო, რომ ცისფერი ხარ? შენ არ იყავი კაბაში და პომადაში სტუდიაში რომ იჯექი და ცრემლებს ღვრიდი?

ირაკლი: საერთოდ არავინ არაფერი იცით.

ვაჟა: მითხარი! აქ ვარ და მითხარი. იქნებ მეც გაგიგო.

ნინო: ახლა თქვენი ჩხუბიღა გვაკლდა, თავი შეიკავეთ, მორჩით!

ირაკლი: ვიტყვი, რომ ფილმისთვის პირადი გამოცდილება მჭირდება. მისის დაუთფაიერი არ გაქვს ნანახი? ტუტსი? ხალხის საყვარელი ფილმია, სხვათა შორის.

ვაჟა: და იტყვი, რომ მშობიარობამ კარგად ჩაიარა, მაგრამ ბავშვი დაგეღუპა? რომელ შვილს ეძებ, მკვდარს თუ ცოცხალს? ამათ რამეს გააგებინებ? მოგკლავენ!

ირაკლი: ეგ სულ სხვა რამეა.

ვაჟა: ბაზარი არ არი, რა სხვა რამე! სადღაც ტრაკში ხარ და იცოდე, მე მაგ ტრაკში არ გამოგყვები. ამხელა პროექტს არ ჩაგაფლავებინებ! ყელში მაქვს შენი სენტიმენტები, ყველაფერს აანაზღაურებ, გესმის?

ირაკლი: მაგათ უყვართ ასეთი ისტორიები, იქვითინებენ! მაგარი რეკლამა გამოვა.

(კარზე ზარია. ნინო აღებს. შემოდიან ბარბარე და ანო.)

ანო: ვაიმე, ხალხო, ძლივს შემოვაღწიეთ! უმართავია სიტუაცია. იქ, გარეთ, გაცხოველდნენ, ბარბარეს კინაღამ გადაუარეს. თქვენ როგორ ხართ?

ვაჟა: (მათთან მიდის, ბარბარეს იხუტებს.) ხომ არაფერი დაგიშავეს?

ბარბარე: არა, არა. **(ირაკლის გვერდს უვლის და სკამზე ჯდება)**

ირაკლი: (ბარბარეს) კიდევ კარგი. და ესენი ასე იცავენ ოჯახის სიწმინდეს? ძალადობით? ძალადობაა ოჯახური ურთიერთობის საფუძველი? მოტაცებული ცოლები, ძალით გათხოვილი გოგოები, ჯერ სულ ბავშვები? მე შემიძლია ყველას გავაგებინო, რომ დასრულდა ერთმანეთზე დამოკიდებულების დრო, დადგა რეალური თავისუფლების დრო. აღარ იქნება ნაძალადევი ურთიერთობები ოჯახის სახელით! უნდა დაიწყოს ნამდვილი ჰარმონია! არავის ექნება ჩვენს ლოგინში ქექვის უფლება, არავის ექნება, ჩვენი საწოლი ოთახების თვალთვალის უფლება!

უნდა დასრულდეს ადამიანის მანიპულირება ოჯახის სახელით! ქალიც და კაციც სამუდამოდ გათავისუფლდება თავსმოხვეული სისტემიდან, რომელიც ჭამს შენს ნამდვილ მეს, ნამდვილ ნიჭს, ნამდვილ სახეს. ყველას ექნება უფლება, ისე იცხოვრონ, როგორც უნდათ - წყვილებად ან ცალ-ცალკე. დასრულდება ოჯახის გამო! ოჯახის გამო! ყველა ბავშვი და ყველა მშობელი ბედნიერი იქნება! იარსებებს ერთადერთი ვალდებულება - დაბადებიდანვე ადამიანის უფლებების დაცვა! ეს არის უპირველესი სიწმინდე! ჩვენ ერთნი ვართ, ადამიანები ერთმანეთისთვის იბადებიან, ჩვენ გვინდა ყველას ერთიანობა, ჩვენ გვჭირდება ერთობა!

(შემოდის ნიკუშა. ტანსაცმელი აჩაჩული აქვს, თვალი დასიებული, ოფლის სდის, ძლივს სუნთქავს.)

ნიკუშა: მამა!

დასასრული

2023

P.S.. ეძღვნება კაცს, რომელსაც ჩემს ნაცვლად შვილის გაჩენა უნდოდა.

ალტერნატიული ფინალი: ირაკლი გადაცემაში არ მიდის ქალად გადაცმული. არამედ, მისი ფილმის თბილისური პრემიერა ეწყობა კინოთეატრში 2021 წლის 1,2,3,4 ივლისს. ვირუსულად ვრცელდება ფილმის ფრაგმენტები, რომელიც შეიცავს ბიჭების კოცნისა და შიშველი ბარბარეს კადრებს. ანტიდასავლურად განწყობილი ჯგუფები ირაკლის ემუქრებიან.

(1) „ერთად ვცხოვრობთ ძველ ფერმაში“ - სიმღერა მუსიკალური საბავშვო გადაცემიდან „ბასტი-ბუბუ“ ; https://www.youtube.com/watch?v=nbdcirMIPQs;
(2) ნაწყვეტი რამონ მარია დელ ვალიე-ინკლანის პიესიდან „ბოჰემის მნათობები?*